



# როლანდ ბლადაძის საქმე Roland Bladadze's Case

მონიტორინგი Monitoring

ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატები" სექტემბერი, 2014 წ. ქ. თბილისი

N(N)LP The "Young Barristers" September, 2014 Tbilisi კვლევაზე მუშაობდა ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატების" გუნდი Researchers: N (N) LP the "Young Barristers" team

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი **Head of the Working Group** Archil Kaikatsishvili

სამუშაო ჯგუფი: Working Group:

ანა კიკნაძე Ana Kiknadze

ნინო ისაკაძე Nino Isakadze

ჯუმბერ სირაბიძე Jumber Sirabidze

სოფიო აზარიაშვილი Sophio Azariashvili

ანა ბარათაშვილი Ana Baratashvili

ემილ კურგანოვი Emil Kurbanov

თარგმნა:

Translated by:

ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატეგი" N (N) LP the "Young Barristers"

გამოცემის დიზაინი: Publishing design: კოკა კაპანაძე

კოკა კაპანაძე Koka Kapanadze

#### კვლევა მომზადდა

"ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან" პროექტის ფარგლებში.

#### Research has been prepared

Within the framework of the Project "Institutional dialogue with Executive, Legislative and Judicial Authorities".

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.

Information presented in the research may only be used by indicating the source

ძინააოსი¹
შესავალი
საკითხის სამართლებრივი მხარე
საკითხის ფაქტობრივი ანალიზი
დასკვნა
სარეკომენდაციო წინადადებები

# Table of Contents<sup>2</sup>

- 1. Introduction
- 2. Legal Aspects of the Issue
- 3. Factual Analysis of the Case
- 4. Conclusion
- 5. Recommendation Proposals

 $^{1}$  მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge <sup>2</sup> Electronic version of the monitoring results is available on the official web-page of the organization:

www.barristers.ge

# 1. შესავალი

საქართველოში, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომმა პოლიტიკური მმართველობის ცვლილებამ, საზოგადოების წინაშე არაერთი სისტემური დანაშაულის ჩადენის ფაქტი გახადა ცნობილი. მათ შორის, ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა იმ მოქალაქეების მიმართ არსებობს, რომლებსაც 2004-2012 წლებში, საკუთრება დაათმობინეს და სამართლიანი სასამართლოს უფლება შეულახეს. მოქალაქეების მიერ საკუთრების მასობრივად მიტოვებისა და სახელმწიფოსათვის ჩუქების შემთხვევებმა, აგრეთვე მესაკუთრების მიერ უკვე რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე თვითნებური დარეგისტრირების ფაქტებმა ერთგვარი ტენდენციის სახე მიიღო. სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან, საკუთრების უფლების დათმობის ფაქტებს, ადგილი ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, თუმცა 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" სახელით მოსულმა ხელისუფლებამ, საკუთრების დათმობისა და ხელყოფის ყველაზე მასშტაბური მოქმედება აჭარაში განახორციელა. 2004 წლის "აჭარის რევოლუციის" შემდეგ, როდესაც აჭარაში შემოიღეს პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა და დასრულდა აჭარის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის მრავალწლიანი მმართველობა, დაიწყო 2004 წლამდე, აჭარის ყოფილი მეთაურის და მასთან დაკავშირებული გარემოცვის პოლიტიკური დევნა, მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რეგიონის მაღალჩინოსანთა რეპრესიები და მათი ქონების გადანაწილების პროცესი.

2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში, აჭარაში საკუთრების ჩამორთმევის ფაქტები და ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ ჩადენილი უკანონო მოქმედებები მთლიანად შესასწავლია. ჯერ არ მომზადებულა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები, თუ რა ზიანი მიადგათ მოქალაქეებს, რომლებმაც იძულება პოლიტიკური ნიშნით, მათი გამოკვეთილი სამოქალაქო პოზიციის გამო მიიღეს, თუმცა როლანდ ბლადაძის საქმე, შეიძლება ითქვას, საკმარისი ისტორია იქნება, რომელიც რეგიონში პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ, ქონების წართმევის რთულ ისტორიას გადმოსცემს. ამასთან, მკაფიოდ წარმოაჩენს იმ მმართელობის სტილს და ფორმებს, რომელიც განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ არსებობდა. წარმოაჩენს სისტემას მოქალაქის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების არამართლზომიერი მოქმედებების შედეგად, იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო, ოჯახით საცხოვრებლად წასულიყო რუსეთის ფედერაციაში და ამ ფორმით დაეცვა პიროვნული უსაფრთხოება.

1990-იანი წლებიდან, როლანდ ბლადაძე აჭარის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის გარემოცვასთან დაახლოებული ადმინისტრაციული თანამდებობის პირი იყო, რომელიც სხვადასხვა დროს, საქმიანობდა საბაჟო დაცვის სამსახურში. 2001 წლიდან 2004 წლის აპრილამდე, იგი მუშაობდა სარფის გამშვეზი საგუშაგოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, თუმცა უფლებამოსილება "საჯარო შესახეზ" საქართელოს კანონის საფუძველზე შეუწყდა. ოფიციალურ მიზეზად, სამსახურის გათავისუფლების ბრძანებაში საბაჟო სამმართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ როლანდ ბლადაძე სამსახურში უცნობი მიზეზის გამო არ ცხადდებოდა, რითაც ადგილი ჰქონდა დარღვევას, სამსახურეობრივი მოვალეობის უხეშ სინამდვილეში კი, როლანდ საქართველოდან ფარულად გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, რა დროსაც, აჭარის ა/რ პროკურატურამ მის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, სასამართლომ კი მიიღო გადაწყვეტილება საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ. როლანდ შორის აღმოჩნდა, ვისაც ქონება ნების საწინააღმდეგოდ ზლადაძე იმ პირთა სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო სისტემა ადმინისტრაციული და შეთანხმებულნი აღმოჩდნენ ემოქმედათ შერჩევითი სამართლის გამოყენებით, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო აჭარის ყოფილ მეთაურთან დაკავშირებული მოხელეების გასამართლებისა და სამართლებრივი დევნის საკითხი. პრეზიდენტმა როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული ქონება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს დაუთმო, რომელიც დღემდე, ოჯახთან ერთად, როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრობს, საქმეზე კი სამართლებრივი დავა გრძელდება, თუმცა უშედეგოდ. 2013 წლის ივნისში, როლანდ ბლადაძის მიმართ

სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა, რამაც შექმნა კანონერი საფუძველი უძრავი ქონების დაბრუნებაზე სამართლებრივი მოქმედებები გაძლიერებულიყო, მაგრამ ახლადაღმოჩენილი და ახლადგამოვლენი გარემოებების პირობებში, სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობა შესაძლებლობას უსპობს, ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ბათილობის საკითხი დასაშვებად სცნოს, რადგანაც სასამართლოს კანონერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გასაჩივრებიდან, უკვე გასულია დადგენილი ხადაზმულობის 5-წლიანი ვადა.

"ახალგაზრდა ადვოკატებმა" როლანდ ბლადაძის საქმის სრულფასოვანი კვლევა 2014 წლის თებერვლიდან დაიწყო. განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შესწავლილ იქნა საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოება, პროკურატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებები, ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებები, საქმესთან ორგანულად დაკავშირებული მაღალი თანამდებობის პირთა დღევანდელი სტატუსი და დამოკიდებულება. ორგანიზაციამ ცალკე ყურადღება დაუთმო როლანდ ბლადაძის საქმეზე სამართლებრივ დასკვნას და სარეკომენდაციო წინადადებებს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რომელთა მიმართაც არსებობს კანონიერი მოლოდინი, რათა ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე დადგეს სამართლიანი გადაწყვეტილებები. აღნიშნული კვლევა, რომელიც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა საქართველოს აღმასრულებელი, გავრცელდება საკანონმდებლო, ხელისუფლების წარმომადგენლებს, გაეცნობა საქართველოს სახალხო დამცველის საქართველოში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორსიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიმართ. ამასთან, კვლევის ინგლისურენოვანი ვერსია მიეწოდება ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოებს, ვენეციის კომისიას, საერთაშორისო ორგანიზაციების ცენტრალურ ოფისებს. საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია სადისკუსიო მაგიდებს გამართავს თბილისსა და ბათუმში. სამართლის სპეციალისტებთან ერთად, იმსჯელებს დავასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების საშულებებსა და განხორციელების სტრატეგიაზე.

მონიტორინგის მიზანია, როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება და არსებული ისტორია ფართო დისკუსიის საგანი გახდეს პროფესიულ წრეებსა და მედიაში. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საქმის მიმართ, მწირი ინფორმაცია მოიპვება ქართულ მედიაში. პირველი გამოხმაურება, რომელმაც როლანდ ბლადაძის მიმართ დაშვებული უკანონო მოქმედებები ასახა, ჟურნალისტ ნანა ლეჟავას საავტორო გადაცემა "კვირის რეპორტაჟი" იყო. აღნიშნული ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად, 2012 წელს, პირველად გახდა ცნობილი აჭარის ყოფილი მთავროზის მეთაურთან საზოგადოებისთვის დაახლოებული, ადმინისტრაციული თანამდებობის პირის დევნისა და ქონების უკანონო ჩამორთმევის ფაქტები. მოგვიანბეით, გაზეთ "ასავალ დასავალში", $^3$  ჟურნალისტ **თეა ასათიანის** ავტორობით ინტერვიუ გამოქვეყნდა როლანდ ზლადაძესთან $^4$ , ხოლო 2013 წლის 18 ივნისს კი, როლანდ ზლადაძის ოჯახის რაც აჭარის ა/რ პროკურატურამ როლანდ ბლადაძის შემდგომ, სისხლისამართლებრივი დევნა შეწყვიტა და სახელმწიფოს მხრიდან ქონების ჩამორთმევის ფაქტის დელეგიტიმაცია ღიად მოხდა, სახელწოდებით: "წადი ჩემი სახლიდან", ბათუმში, ერას ქუჩა #37-თან, ბლადაძის ჩამორთმეულ სახლთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ, საპროტესტო აქცია გამართა. მიუხედავად სამართლებრივი ძალისხმევისა, როლანდ ბლდაძის საქმეზე სამართლიანობის აღდგენა ჯერ არ მომხდარა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მოქმედი ხელისუფლების შემდგომ საერთო გადაწყვეტილებასთან.

როლანდ ბლადამე საკუთარ ისტორიას საგაზეთო ინტერვიუს დროს, შემდეგნაირად იხსენებს: "აჭარის რევოლუციის შემდეგ, სანამ საქართველოს დავტოვებდი, ორჯერ დამირეკეს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. მთავაზობდნენ, ჩამოდი, "რუსთავი-2"-ის ეთერით გალანმღე აბაშიმე და ამის

 $^{3}$  გაზ. "ასავალ დასავალი", 4-10 თეზერვალი, #5, 2013

 $<sup>^4</sup>$  გაზ. "ასავალ დასავალი", 30 დეკემბერი (2013) – 12 იანვარი, #1, 2014

შემდეგ ჩვეულებრივად გააგრძელებ მუშაობასო.უარი ვუთხარი. იმ დღეს, როცა ასლან აბაშიძემ საქართველო დატოვა, დათა ახალაიამ დამირეკა და დამემუქრა, ჩამივარდები ხელშიო. მანამდე ის მთელი თვე სამსახურში მეჯდა, როგორც პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი და საბაჟოზე პირადად აკონტროლებდა ყველაფერს. თბილისში ჩასვლის შემდეგ ტელევიზიითაც თქვა, სარფში ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოვაჩინეო. ახალაიას ზარის შემდეგ, საქართველო დავტოვე. ჩემი წასვლის შემდეგ მამაჩემთანაც მისულან, უთხოვიათ, როგორმე გაგვიყვანე კონტაქტზეო. უკვე აშკარად მოითხოვდნენ ფულს, ჯერ 500 ათასი თქვეს, შემდეგ 50 ათასზე ჩამოვიდნენ. როცა თანხის გადახდაზე უარი განვაცხადე, დაიწყო მუქარები, თუ არ გადაიხდი სახლს წაგართმევთო... მე მარტო წავედი მოსკოვში, მუეღლე და სამი შვილი ბათუმში დავტოვე. ერთ მშვენიერ დღეს, ნიღბიანები შეიჭრნენ სახლში და მეუღლე სამი მცირეწლოვანი შვილით გარეთ გამოაგდეს. ჩემი პატარა ერთი ნიღზიანთან მისულა და შეხვეწებია, არ გაგვყარო აქედანო, მან კი ბავშვს ხელი გაარტყა. ეს ის პერიოდია, როცა ასლან აბაშიძის ხელისუფლების წევრებს შიშის გამო ქუჩაში არავინ ესალმებოდა. ვინ გაბედავდა მათ შეფარებას. ხან ერთ ნათესავთან იმალებოდნენ, ხან - მეორესთან. მთელი წელი, ბავშვებს სკოლაში არ უვლიათ. ამის შემდეგ მოსკოვსში მათი წაყვანა მოვახერხე. გამოსახლების დროს უკვე ვიცოდით, რომ ჩვენს სახლში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი უნდა შესულიყო... ახლა ამბობს, არ ვიცოდი, რომ წართმეული იყოო. როგორ არ იცოდა, რამდენჯერმე გავუგზავნე საერთო ნაცნობები და შევუთვალე, რას აკეთებ, ეს ყველაფერი ცვალებადია და ცოდვას ნუ დაიდებ-მეთქი. მან ჩვენი ბინა ისე დაიკავა, არანაირი უხერხულობა არ უგრძნია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სამართლის დაცვას მცირეწლოვანი ბავშვების ქუჩაში გამოყრა არჩია. ჩემმა მეუღლემ შეუთვალა, ბავშვებმა იმდენი ცრემლი დაღვარეს ამ ბინაში, მაინც ვერ გაიხარებო. პაპუაშვილის პასუხი ასეთი იყო: არსად წასვლას არ ვაპირებო... სხვათაშორის, როცა გავიგე, რომ ჩემს სახლში პაპუაშვილი შეასახლეს, გიორგი თარგამაძე "იმედში" მუშაობდა. დავურეკე და ვთხოვე, სიუჟეტი გააკეთე-მეთქი. კარგიო, დამთანხმდა, მაგრამ რამდენიმე დღეში უარი მითხრა. ეკა ხოფერია **მუშაობს ჩემთან და პაპუაშვილი მისი დის ქმარიაო"** - ამზობს გაზეთ "ასავალ დასავალთან" ინტერვიუს დროს როლანდ ბლადაძე.5

როლანდ ბლადაძე კიდევ ერთ საგაზეთო ინტერვიუში აღნიშნავს: "აჭარის ხელისუფლებას, ჩემი ბინა ბევრისთვის შეუთავაზებია, მაგრამ არავინ შესულა, გიორგი პაპუაშვილის გარდა. ყველამ უარი თქვა, აქ პატარა ბავშვები ცხოვრობენ და მათ ცოდვას ვერ დავიდებთ, მითუმეტეს, რომ ბინა უკანონოდ არის ჩამორთმეულიო. პაპუაშვილის მეუღლეს, რომელიც, როგორც მოგეხსნებათ, ეკა ხოფერიას და არის, ძალიან მოსწონებია ჩემი ბინა. ადვოკატი ურჩევდა, არ შეხვიდეთ ამ ბინაში, უკანონოდ არის ჩამორთმეულიო, მაგრამ მას დაუჟინებია, გინდა თუ არა, ეს ბინა მომწონსო.... როცა იგებენ, რომ ჩემს ბინაში გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს, ყველა თავიდან იცილებს საქმეს. ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ჩემთვის წართმეული ბინის გაყიდვას აპირებს. როგორც ჩანს, შეეშინდა, რომ ბინას დავიბრუნებ და ცდილობს ნაძარცვი ქონება თავიდან მოიშოროს, რომ ფული მაინც შერჩეს. მოვუწოდებ ყველას, არ იყიდოს ბინა გიორგი პაპუაშვილისგან, რადგან ეს ბინა ჩემია და მისი შემძენი კეთილსინდისიერ მყიდველად ვერ ჩაითვლება. ადრე თუ გვიან, მაინც დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს" - აცხადებს როლანდ ბლადამე.6

ორგანიზაციამ კვლევის განხორციელების პროცესში, საჯარო უწყებებთან კომუნიკაციის დროს დაადგინა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 10 ივნისამდე პერიოდში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რეგისტრირებულია 60 მოქალაქის განაცხადი საკუთრების უფლების დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ჩამორთმეული ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის 2014 წლის 12 აგვისტოს საჯარო განცხადებაც, რომლის მიხედვითაც, მთავრობა საზოგადოებას უახლოეს მომავალში შეატყობინებს, თუ რა ბედი ეწევათ მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ქონება. "მინდა განვუმარტო მოქალაქეებს,

 $<sup>^{5}</sup>$  გაზ. "ასავალ დასავალი", 4-10 თებერვალი, #5, 2013

 $<sup>^{6}</sup>$  გაზ. "ასავალ დასავალი", 30 დეკემბერი (2013) – 12 იანვარი, #1, 2014

რომელთა უფლებები უხეშად, ძალადობით, სისატიკით ირღვეოდა წლების განმავლობაში, რომ სახელმწიფო, ჩვენ, 24 საათის განმავლობაში ვზრუნავთ მათი უფლებების აღდგენისთვის. პროკურატურამ, პრაქტიკულად, დაასრულა მათ საქმეებზე მუშაობა — საქმეების შესწავლა ბოლო ეტაპზეა და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში შევატყობინებთ საზოგადოებას რა ბედი ეწევა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც დაკარგეს ქონება, ბიზნესი, სიცოცხლე. ჩვენი ვალია, რომ ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანოთ და ჩვენ ამ პროცესს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ყველა დანაშაულს დაერქმევა თავისი სახელი და ჭეშმარიტება სამუდამოდ დადგინდება", - აღნიშნა საქართველოს პრემიერ მინისტრმა, რომლის ინფორმაციითაც, პროკურატურამ ამ ტიპის საქმეების სისტემატიზაცია უკვე მოახდინა.

ორგანიზაცია კვლევის მომზადების პროცესში მადლობას უხდის საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში ჩართულ სხვადასხვა უწყებებს. მონიტორინგის განხორციელების პროცესში, როლანდ ბლადაძის საქმის მასალები მოგვაწოდა დაზარალებულის ადვოკატმა, ქალბატონმა **ნანა წულაძემ,** რომლის პროფესიული თავდადება და ძალისხმევა, ცალკე აღნიშვნის ღირსია. ნანა წულაძემ საქმისწარმოების პროცესში, 2006 წლიდან ჩაერთო, ხოლო 2014 წლის იანვრიდან როლანდ ბლადაძემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მიანიჭა, "ახალგაზრდა ადვოკატების" თანადამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს, რომელმაც მონიტორინგის განხორციელება ორგანიზაციის სამართლის ჯგუფთან ერთად განახორციელა. ამასთან, ცალკე აღნიშვნის ღირსია როლანდ ბლადაძის მეუღლის, მარინა ესელიძის ძალისხმევა საქმისწარმოების მიმდინარეობის პროცესში, რომელმაც 2004 წლიდან, მეუღლისა და ოჯახის ინტერესების დაცვა, განსაკუთრებული სირთულეებისა და გამოწვევების ფონზე განახორციელა. სახელმწიფომ მარინა ესელიძე სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად გამოასახლა, დღეს კი, რეპრესირებული ოჯახი სამართლიანობის აღგენის იმედით ცხოვრობს.

# 2. საკითხის სამართლებრივი მხარე

2004 წლის 13 ივნისს, აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, შპს "ბათუმგამწვანების" ხელმძღვანელობის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე აღიძღა სისხლის სამართლის საქმე #263/04, რომელიც სამართლებრივი საფუძველი გახდა, აჭარის ა/რ მთავრობის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო. საქმისწარმოების ისტორიამ მიუთითა, რომ შპს "ბათუმგამწვანების" დირექტორ ედნარ შამილიშვილს, 2003 წლის მაისიდან 2003 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, საბაჟო წესების დარღვევით შემოჰქონდა დიდი ოდენობის ფინიკის პალმები. საქმეზე ბრალდებულის სახით დაკითხულმა ედნარ შამილიშვილმა მიუთითა, ფინიკის პალმეზი აჭარაში რეგიონის იმდროინდელი მეთაურის ასლან აბაშიძის დავალებით, აჭარის მთავრობას შემოჰქონდა. ედნარ შამილიშვილის ჩვენებით, ასლან აბაშიძის დავალების თანახმად, შპს "ბათუმგამწვანებას" ჩაერიცხებოდა 700 000 ლარი, თუმცა ეს თანხა, აღნიშნულ კომპანიას უნდა გადაეცა აჭარის ყოფილი მეთაურის მიერ კომპანიის დირექტორისთვის გაცნობილ თურქი ეროვნების მოქალაქისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პალმები შეძენილი და შემოტანილი იყო თურქეთის რესპუზლიკიდან, ედნარ შამილიშვილს უნდა შეედგინა ყალზი დოკუმენტაცია, თითქოს მან აღნიშნული პალმეზი შეიძინა აჭარაში მცხოვრეზი ფიზიკური პირისგან. საქმეში აღნიშნულია, რომ თითქოსდა ასლან აზაშიძემ ედნარ შამილიშვილი დაარწმუნა, რომ პალმების შემოტანისას მას საბაჟოს თანამშრომომლები პრობლემას არ შეუქმნიდნენ. ამასთან, აჭარის ა/რ კონტროლის პალატის 2004 წლის 2 ივლისის შუალედური აქტის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნული პალმები საბაჟო–გამშვებ პუნქტ "სარფში" საბაჟო ტვირთად რეგისტრირებულია, მაგრამ შემდეგ ისინი არ არის მოქცეული საბაჟო რეჟიმში და შესაბამისად, არ არის განბაჟებული, რის გამოც, დარღვეულია საბაჟო კოდექსის მოთხოვნები.

2004 წლის 13 ივნისს, აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გამომძიებელმა, შოთა ბოლქვაძემ აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მომზადებული მასალების საფუძველზე, რომელიც ფინიკის პალმების ისტორიას გადმოსცემდა, მიიღო დადგენილება<sup>7</sup> როლანდ ბლადაძის მიმართ, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დაწყების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ა/რ კონტროლის პალატის სამმართველოს უფროსის მოადგილემ და ზემოთაღნიშნული სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელმა, ილია ქარცივაძემ მოწმის სახით დაკითხვის დროს აღნიშნა, რომ კონტროლის პალატის აქტში არ იყო მითითებული, თითქოსდა პალმების განუბაჟებლობა გამოწვეული იყო პირადად როლანდ ბლადაძის ან საბაჟოს რომელიმე სხვა თანამშრომლის უკანონო მოქმედებით, აღნიშნული გარემოება უნდა დადგენილიყო გამოძიებით, 2004 წლის 25 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე, აჭარის ა/რ საბაჟო სამმართველოს საბაჟო გამშვები პუნქტ "სარფის" უფროსის მოადგილეს, როლანდ ბლადაძეს დაუსწრებლად წაეყენა ბრალდება და ბრალდებულის სახით, მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

როლანდ ბლადაძის მიმართ ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში ვკითხულობთ: "როლანდ ბლადაძე მუშაობდა რა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს საბაჟო გამშვები პუნქტის "სარფის" უფროსი მოადგილის თანამდებობაზე და იყო რა მოხელე და ევალებოდა რა გამშვებ პუნქტ "სარფის" საქმიანობის ნორმალური წარმართვის უზრუნველყოფა, განზრახ არ შეასრულა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობა. კერძოდ, 2003 წლის მაისის თვიდან ამავე წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით განვლილ პერიოდში, არ უზრუნველყო სათანადო კონტროლი მის დაქვემდებარებაში მყოფი მებაჟეების მიერ საქართველოში სარფის საბაჟოზე თურქეთიდან შემოტანილი მოძრავი ტვირთის განბაჟება, რის შედეგადაც, ქ. ბათუმის გამწვანების ტრესტის დირექტორმა, ედნარ შამილიშვილმა თურქეთიდან საქართველოში სარფის საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით, საბაჟო კონტროლის გვერდის

٠

 $<sup>^{7}</sup>$  როლანდ ზლადაძის სისლის სამართლის საქმე #263/04.

ავლით, გადმოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინიკის ჯიშის პალმები და ყვავილები. კერძოდ, მითითებული დროის განმავლობაში, ე. შამილიშვილმა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოიტანა 1020 ცალი პალმა საერთო ღირებულებით 15 050 აშშ დოლარის და ყვავილები 153 00 მირი, საერთო ღირებულებით 900 აშშ დოლარი, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტს გადასახადის სახით დააკლდა 15 950 აშშ დოლარის გადასახადი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია." (სტილი დაცულია)8

2004 წლის 26 აგვისტოს, აჭარის ა/რ პროკურორმა გიორგი პაპუაშვილმა სარჩელით მიმართა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს და როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა, ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა მოითხოვა.<sup>9</sup>

როლანდ ბლადაძის მიმართ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, ჩამორთმევისა და გადაცემის შესახეზ პროკურატურის სარჩელში ვკითხულობთ: სახელმწიფოსთვის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს გააჩნია საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რათა სარჩელში აღნიშნული მოპასუხის ქონება მიჩნეულ იქნეს დაუსაბუთებლად, რისი მტკიცების საფუძველზე იძლევა შემდეგი არგუმენტაცია. დასახელებული თანამდებობის პირის შემოსავლების შესახებ მოპოვებული მტკიცებულებები (რისი მოპოვებაც მოსარჩელემ შეძლო და, რასაც სარჩელს თან ვურთავთ) იძლევა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ოდენობის შემოსავალი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სარჩელში ჩამოთვლილი ქონების მოპოვებას. სწორედ ამ გარემოებამ აღგვიძრა ის ვარაუდი, რომელიც განაპირობებს თავის მხრივ წინამდებარე სარჩელის წამოყენებას. კერძოდ, როლანდ ბლადაძე 2001 წლიდან 2004 წლის აპრილამდე მუშაობდა სარფის გამშვები საგუშაგოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, რომელსაც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ხელფასის სახით მიღებული აქვს შემოსავალი 12579,39 ლარი. ამრიგად, სასამართლოს ვთხოვთ, იმსჯელოს მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, დასახელებული ქონების დაუსაბუთებლობის შესახებ. გთხოვთ, წინამდებარე სარჩელი მიიღოთ წარმოებაში, განიხილოთ იგი და დააკმაყოფილოთ მოთხოვნები მთლიანად" (სტილი დაცულია).

2004 წლის 26 აგვისტოს, აჭარის ა/რ პროკურატურამ სასამართლოს მიმართ სარჩელით მიუთითა, რომ როლანდ ბლადაძეს ეკუთვნოდა შემდეგი ქონება, რომელიც უნდა აღიარებულიყო უკანონოდ და დაუსაბუთებლად, მომხდარიყო ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა:

- 1. საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8, საერთო ფართი: 215,6 კვ. მ.;
- 2. საცხოვრებელი სახლი ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში;
- 3. საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, წ. დუმბაძის ქუჩაზე;
- 4. მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში;
- 5. ავტომანქანა მერსედეს–ბენც WMW 009 ღირებული 40000;
- 6. ავტომანქანა გაზ–31–10, სახელმწიფო ნომრით, IOO 462.

2004 წლის 30 აგვისტოს, აჭარის ა/რ პროკურორმა გიორგი პაპუაშვილმა ხელი მოაწერა მინდობილობას საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ვალერიან ცერცვაძის მიმართ, პროკურორების გიორგი ხიზანიშვილისა და ვლადიმერ ხუჭუას მიმართ, რათა საქართველოს პროკურატურის სახელით განეხორციელებინათ კანონმდებლობით დადგენილი ყველა საპროცესო მოქმედება.<sup>10</sup>

<sup>&</sup>lt;sup>8</sup> 2004 წლის 25 აგვისტოს აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის დადგენილება როლანდ ბლადაძის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

<sup>&</sup>lt;sup>9</sup> 2004 წლის 26 აგვისტოს აჭარის ა/რ პროკურატურის სარჩელი სასამართლოს როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევის შესახებ.

 $<sup>^{10}</sup>$  2004 წლის 30 აგვისტოს ა $^{1}$ არის ა/რ პროკურორის #01 $^{-}$ 2004 მინდობილობა ვალერიან ცერცვაძის მიმართ.

როლანდ ბლადაძის საქმესთან ერთად, პროკურორები აღიჭურვნენ უფლებამოსილებით, რათა სასამართლოში პროკურატურის ინტერესები დაეცვათ ასლან აბაშიძის, იოსებ გოგიტიძის, როსტომ ბოლქვაძის, ირაკლი აბაშიძის, თეიმურაზ კომახიძის, დავით ბაკურიძის, სერგო გოგიტიძის, თეიმურაზ კომახიძის, გურამ გოგიტიძის, ელგუჯა მოწყობილის, ჯემალ გვარიშვილის, ტარიელ ხალვაშის, ინა ხარაზის, თამაზ ანანიძის, მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და მათთან დაკავშირებული პირების მფლობელობაში არსებული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე წარმოებულ სასამართლო პროცესებში, სადაც მოსარჩელეს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი გიორგი პაპუაშვილი. ზემოაღნიშნული ყველა დასახელებული პირები, 2000–2003 წლებში, აჭარის მთავრობის მაღალ თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ.

2004 წლის 2 სექტემბერს, სისხლის სამართლის #263/04 საქმიდან ცალკე წარმოებისთვის გამოიყო როლანდ ბლადაძის საქმე და მიენიჭა სისხლის სამართლის შემდეგი #287/04.

2004 წლის 7 სექტემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ მოსამართლეების: დავით ანანიძის (თავმჯდომარე), რეზო ბერიძისა და ილია ქამადაძის მონაწილეობით, დაიწყო აჭარის ა/რ პროკურატურის სარჩელის განხილვა როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ, როლანდ ბლადაძის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ ჩათვალა, რის გამოც, სასამართლო სხდომა გადაიდო და განახლდა 2004 წლის 10 სექტემბერს.<sup>11</sup>

2004 წლის 9 სექტემბერს, როლანდ ბლადაძეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდა დაპატიმრება 3 თვის ვადით და ამავე დღეს გამოტანილი იქნა დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ.

2004 წლის 10 სექტემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ მოსამართლეების: დავით ანანიძის (თავმჯდომარე), რეზო ბერიძისა და ილია ქამადაძის, ასევე პროკურორების: ვალერიან ცერცვაძის, გიორგი ხიზანიშვილისა და ვლადიმერ ხუჭუას მონაწილეობით, როლანდ ბლადაძის საქმეზე საქმისწარმოება განაახლა. სხდომას არ დასწრებია მოპასუხე როლანდ ბლადაძე და არც მისი კანონიერი წარმომადგენელი. ბრალდების მხარეს სასამართლოს მიმართ არ ჰქონია აცილება, განცხადება და არც შუამდგომლობა. სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, სხდომა დაიწყო 16:00 საათზე და დასრულდა 17:00 საათზე. სასამართლო კოლეგიამ სათათბირო ოთახში გასვლის შემდგომ, როლანდ ბლადაძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა. 12 კერმოდ, პროკურატურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2004 წლის 10 სექტემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ როლანდ ბლადაძის საქმეზე #3–62 შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედასამებაში არსებული უძრავი ქონების გარდა, უკანონოდ და დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი შემდეგი ქონება:

- 1. საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8, საერთო ფართი: 215,6 კვ. მ;
- 2. საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, წ. დუმბამის ქუჩაზე;
- 3. მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში;
- 4. ავტომანქანა მერსედეს–ბენც WMW 009 ღირებული 40000;
- 5. ავტომანქანა გაზ-31-10, სახელმწიფო ნომრით, IOO 462.

 $<sup>^{11}</sup>$  2004 წლის 07 სექტემბრის ა $rac{1}{2}$ არის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სხდომის ოქმი.

 $<sup>^{12}</sup>$  2004 წლის 10 სექტემბრის ა $rac{1}{2}$ არის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სხდომის ოქმი.

2004 წლის 10 სექტემბერს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ "საქმეში წარმოდგენილი ცნობიდან ირკვევა, რომ სარჩელში მითითებული სახლი ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში ეკუთვნის მოპასუხე როლანდ ზლადაძის მამას, უსუფ ზლადაძეს და არის მათი მამაპაპისეული სახლი, რის გამოც მოსარჩელეს სარჩელის ამ ნაწილში უნდა ეთქვას უარი. სარჩელის დანარჩენი ქონების ნაწილში, პროკურორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. გამოცხადდეს იგი უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებად, ჩამოერთვას მოპასუხეს და რადგანაც არ არის ამ ქონების სხვა მესაკუთრე, გადაეცეს სახელმწიფოს. საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები ან ამ სახსრების კანონიერი გზით მოპოვეზისთვის საჭირო გადასახადების გადახდის დოკუმენტები. ამდენად, საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოპაუსხეს არ შეეძლო საკუთარი ხელფასით და კანონიერი გზით ამ ქონების შეძენა, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რაც იძლევა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს". $^{13}$  ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, როლანდ ბლადაძეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5000 ლარის ოდენობის ბაჟის გადახდაც დაეკისრა.

2004 წლის 10 სექტემზერს, აჭარის s/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში 2004 წლის 12 ნოემზერს შევიდა, ხოლო 2004 წლის 30 ნოემზერს, სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ. $^{14}$  აღსანიშნავია, რომ აჭარის s/რ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, შპს "კონსალტინგ აუდიტმა", 2004 წლის 22 სექტემბერს წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა და როლანდ ბლადაძის, მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების და მათთან დაკავშირებული პირების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების, ბინების, სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებებში წილებისა და აქციების ღირებულება შეფასებულ იქნა 70 000 ლარად. $^{15}$ 

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 17 ნოემბერს, აჭარის ა/რ პროკურატურამ როლანდ ბალადაძეს ბრალდება დაუმძიმა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენების გარდა, შეერაცხა გამოძალვა, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მიღების მოთხოვნა ძალადობის გამოყენების მუქარით. პროკურატურამ მოქალაქე მიხეილ ბოგვერაძე, ერთ—ერთ საქმეზე დაკითხვის დროს დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ სცნო, რომელმაც აღნიშნა, რომ მესამე პირის სასარგებლოდ, როლანდ ბლადაძე თითქსოდა ცდილობდა თანხის ამოღებას. 2013 წლის 12 აპრილის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილებით, აღნიშნული ეპიზოდის განხილვის დროსაც აღმოჩნდება, რომ როლანდ ბალდაძის მიმართ წაყენებული ეს ბრალდებაც უსაფუძვლო იყო.

2006 წელს, როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა, სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს და სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება მოითხოვეს. სასარჩელო განცხადებაში აღინიშნა, რომ როლანდ ბლადაძის მეუღლემ, მარინა ესელიძემ, 2006 წლის 22 მარტს, აქარის სააღსრულებო ბიუროდან მიიღო გაფრთხილება, როლანდ ბლადაძის მიმართ დაკისრებული 5000 ლარის ბიუჯეტის სასარგებლოდ ნებაყოფლობით გადახდის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ როლანდ ბლადაძის ოჯახისთვის, ასეთი გაფრთხილების მიღებამდე, ცნობილი არ ყოფილა. სასამართლოს მიემართა კიდევ ერთი საყურადღებო გარემოების შესახებაც, რა დროსაც მარინა ესელიძის მიერ მოძიებული მტკიცებულებები ადასტურებდნენ, რომ როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული ქონების ნაწილი, ეკუთვნოდა არა როლანდ ბლადაძეს, არამედ უშუალოდ მას. მარინა ესელიძის სასარჩელო განცხადებით, სასამართლოს მიერ დაკისრებული 5000 ლარის აღსრულება იწყებოდა თავის ქონებაზე, რომელიც არღვევდა მის კანონიერ უფლებებს. 2006

<sup>&</sup>lt;sup>13</sup> 2004 წლის 10 სექტემბერის აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

<sup>&</sup>lt;sup>14</sup> 2004 წლის 30 ნოემბრის აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი როლანდ ბლადაძის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

<sup>&</sup>lt;sup>15</sup> 2004 წლის 22 სექტემბრის შპს "კონსალტინგ აუდიტის" აუდიტორული დასკვნა როლანდ ბლადაძის ქონების მიმართ.

წლის 29 მარტის განჩინებით, სასამართლომ მარინა ესელიძის სასარჩელო განცხადება დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ მართალია, მარინა ესელიძე არ არის მოვალე, მაგრამ აღსრულება მიქცეულია იმ ქონებაზე, რაც წარმოადგენს მის ინტერესს. სასამართლოს განჩინებით, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა.<sup>16</sup>

2006 წლის 14 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის აჭარის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა გელა თავდგირიძემ და აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 06 და 10 სექტემბრის გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილის, დაუსაბუთებლად ცნობილი ქონების ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ განმარტება მოითხოვა.<sup>17</sup>

2006 წლის 27 აპრილს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავის სააღსრულებო ფურცელში,¹8 სადაც აჭარის მთავრობის ყოფილი წარმომადგენლების გვერდით როლანდ ბლადაძის ქონებაც ფიგურირებს, მიუთითა, რომ "როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა გულისხმობს საკუთრებაში გადაცემას, მასზე ფლობის უფლებითა და გამოთავისუფლებული სახით კრედიტორზე (სახელმწიფოზე) გადაცემას". აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, როლანდ ბლადაძის საკუთრებაში, უკვე შემდეგი რიცხული ქონებაა:

- 1. საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37, ბ 8;
- 2. საცხოვრებელი სახლი ქ, ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩაზე;
- 3. მიწის ნაკვეთი ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში.

როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება კერმო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. კერძო საჩივარში აღინიშნა, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ისევე, როგორც პროკურატურის სარჩელში, არსად არ არის მითითებული "გამოთავისუფლებული" სახით სადგომის კრედიტორისთვის (სახელმწიფოსთვის) გადაცემის შესახებ. როლანდ ზლადაძის ინტერესების დამცველთა განმარტებით, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული იყო. თავიდანვე, სადავო ქონებას დაედო ყადაღა, შემდგომ კი, ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ერას ქუჩაზე, გატარდა საჯარო რეესტრში, როგორც სახელმწიფო საკუთრება. კერმო განჩინებაში აღინიშნა, რომ სასამართლომ იკისრა მოსარჩელის როლი და გასცა ფაქტობრივად სააღსრულებო ფურცელი ბინის გამოთავისუფლების შესახებ ისე, რომ მოსამართლე ჯემალ კიკნაძეს უფლება არ ჰქონდა გელა თავდგირიძის შუამდგომლობა განეხილა ვინაიდან ჯემალ კიკნაძე მოსამართლეობამდე იყო აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი და მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა როლანდ ბლადაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე. შესაბამისად, მოსამართლე ჯემალ კიკნაბეს, საქმესთან დაკავშირებით, უნდა გამოეცხადებინა თვითაცილება. ამიტომაც, როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველებმა, მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის განჩინებისა და ამავე სასამართლოს 2006 წლის 27 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება. $^{19}$ 

2006 წლის 14 დეკემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის განჩინება. (განჩინება იყო საბოლოო და აღარ საჩივრდებოდა). სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს ჰქონდა უფლება,

 $<sup>^{16}</sup>$  2006 წლის 29 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, #2-707, მოსამართლე: გოჩა ფუტკარაძე

 $<sup>^{17}</sup>$  2006 წლის 14 აპრილის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, მოსამართლე: ჯემალ კიკნაძე

<sup>&</sup>lt;sup>18</sup> 2006 წლის 27 აპრილის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი, საქმე: #2156, მოსამართლე: ჯემალ კიკნაძე

 $<sup>^{19}</sup>$  2006 წლის — კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ.

მხარეთა მოწვევის გარეშე გადაწეყვიტა გადაწყვეტილების განმარტების საკითხი. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის თვითაცილების საფუძვლიანობა არ დამდგარა. "საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ჯემალ კიკნაძე დაინტერესებული იყო მოცემული საქმით. ის გარემოება, რომ ჯემალ კიკნაძე მოსამართლედ დანიშვნამდე იყო აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსი და მის დაქვემდებარებაში იყო როლანდ ბლადაძისადმი აღმრული სისხლის სამართლის საქმე, არ გულისხმობს მოსამართლის დაინტერესებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტებისას მის რაიმე დაინტერესებას ამ საქმისადმი". 20 ამასთან, სასამართლომ<sup>21</sup> აღნიშნა, რომ ქონების ჩამორთმევა აღარ საჭიროებს ამ ქონებაში მყოფი პირების შესახებ ახალი სარჩელის შეტანას მათი გამოსახლების თაობაზე, რადგან ქონების ჩამორთმევა და გადაცემა თავისთავად გულისხმობს ჩამორთმეული ქონების გადაცემას უფლებამოსილი პირისთვის, ამ შემთხვევაში — სახელმწიფოსთვის.

2006 წლის 8 ნოემბერს, 20:35 წუთზე, აჭარის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლებმა, როლანდ ბლადაძის ოჯახი ბათუმში, ერას ქუჩა #37, ბინა 8-დან გამოასახლეს. როლანდ ბლადაძის მეუღლემ, მარინა ესელიძემ ოქმში გაკეთებული ჩანაწერით მიუთითა, რომ უძრავ ქონებაში მიმდინარე საპროცესო მოქმედებები იყო უკანონო და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აპრილის განჩინებით სასამართლო განმარტება, მოცემული დროისთვის, არ იყო კანონიერ ძალაში შესული, რის გამოც, აღსრულების პროცედურა კანონის დარღვევით მიმდინარეობდა.

2007 წლის 5 თებერვალს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება $^{22}$  როლანდ ბლადაძის კანონიერი წარმომადგენლების განცხადებაზე, რომლითაც მოთხოვნილ იქნა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში კანონიერი ინტერესების დამცველებმა მიუთითეს, რომ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ საქმე როლანდ ბლადაძის სხდომაზე დასწრების გარეშე განიხილა. არც როლანდ ბლადაძისთვის და არც მისი ოჯახისთვის, არ გაგზავნილა შეტყობინება, სადაც სხდომის გამართვის შესახებ იქნებოდა საუბარი. როლანდ ბლადაძის ინტერესები, არც ადვოკატს დაუცავს სხდომაზე, მაშინ, როდესაც, მინდობილობის საფუძველზე, სამოქალაქო მოსარჩელეებად ამგვარ საქმეებზე გამოდიდონენ აჭარის ა/რ პროკურატურის პროკურორები. მხარის განცხადებით, არსებულმა გარემოებამ მხარეთა შეჯიბრითობის პრინციპი დაარღვია. სწორედ ამ გარემოებების გამო, მხარე მოკლებული აღმოჩნდა შესაძლებლობას, სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, რომ იმ ქონების ძირითადი ნაწილი, რასაც როლანდ ბლადაძეს და მის ოჯახს ედავებოდნენ, არც არასოდეს ფლობდა როლანდ ბლადაძე და შესაბამისად, მისი ოჯახის წევრები, ხოლო მეორე ნაწილი – ავტომანქანები დიდი ხნის გასხვისებული იყო, ხოლო ქ. ბათუმში, ერას ქუჩა #37–ში მდებარე ერთადერთი საცხოვრებელი ბინა #8, რომელშიც ცხოვრობდა როლანდ ბლადაძის მეუღლე და შვილები, შებენილი იყო 1999 წელს, ნოტარიულად გაფორმებული 2000 წლის დასაწყისში ე.ი. იმ დრომდე (სადავო პერიოდი პროკურატურის სარჩელით 2001–2004) გაცილებით ადრე, ვიდრე ის თანამდებობის პირი გახდებოდა. სასამართლომ როლანდ ბლადაძის წარმომადგენელთა სასარჩელო განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების თაობაზე დაუშვებლობის მოტივით განუხილველი დატოვა და მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, განცხადება სასამართლოში გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. სასამართლომ მიუთითა, რომ აჭარის ა/რ პროკურატურის სასარჩელო განცხადება როლანდ ბლადაძის წინააღმდეგ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ და აღნიშნულის შესახებ სადავო გადაწყვეტილების არსებობა როლანდ ბლადაძის კანონიერი წარმომადგენლისთვის ცნობილი იყო. სასამართლომ ამის დასადასტურებლად მიუთითა 2005 წლის 25 აპრილი და ამავე წლის 5 ოქტომბერი, რა დროსაც როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველებს საქმის

.

 $<sup>^{20}</sup>$  2006 წლის 14 დეკემბრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

 $<sup>^{21}</sup>$  2006 წლის 8 ნოემბრის ა $rak{3}$ არის სააღსრულებო ბიუროს ოქმი.

 $<sup>^{22}</sup>$  2007 წლის 5 თებერვლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება #2-533, მოსამართლე ნინო ვაშაყმაძე.

მასალების ქსეროასლების მიღებისთვის მიუმართავთ სასამართლოსთვის. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერსების დამცველებს, აჭარის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება გასაჩევირებული ჰქონდათ საკასაციო წესით, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო საკასაციო სასამართლოს განჩინება, როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებს 2004 წლის 5 დეკემბერს ჩაბარდათ. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველებს სასამართლოსთვის მიმართვის ერთთიანი ვადა გაშვებული ჰქონდათ.

როლანდ ბლადაძის კანონონიერი ინტერესების დამცველებმა 2007 წლის 5 თებერვლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. საკასაციო საჩივრით, სასამართლოს კიდევ ერთხელ ეცნობა საქმეში ახლადგამოვლენილი გარემოების თაობაზე, რაც გულისხმობს უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობილი უძრავი ქონების, კერძოდ, ბათმში, ერას ქუჩა #37–ში მდებარე ბინის შეძენას 1999 წელს და სადავოდ გამხდარი ერთთვიანი გასაჩივრების ვადის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელი დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება.

2007 წლის 20 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში<sup>23</sup> ვკითხულობთ: "სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423–ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, თუ რა ითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად. აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და არ შეიძლება მისი განვრცობა. ის, რომ ერას ქუჩა #37–ში მდებარე ბინა #8 შეძენილია როლანდ ბლადაძის მიერ თანამდებობაზე ყოფნამდე, არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, რადგანაც ბინა სამოქალაქო კოდექსის 149–ე მუხლის თანახმად, მიეკუთვნება უძრავ ნივთს, რომლის მესაკუთრის ვინაობა, სამოქალაქო კოდექსის 183–ე მუხლის თანახმად, დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემით. ახლად აღმოჩენილია ისეთი გარემოება, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებობდა, ოღონდ, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებობდა, ოღონდ, ამ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმოჩნდა, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმოჩნდა, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა მხარისათვის ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში კი, ალოგიკურია, ერას ქუჩა #37–ში მდებარე #8 ბინის 1999 წელს შეძენის და 2000 წელს გაფორმების ფაქტი, თითქოს ცნობილი გახდა 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. როგორც ცნობილია, ერას ქუჩა #37–ში მდებარე #8 ბინის შეძენის ფაქტი 2004 წლის 10 სექტემბერს გადაწყვეტილების გამოტანამდე იყო ცნობილი მხარისთვის. ამიტომ იგი არ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად." (სტილი დაცულია)

როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი საპროცესო ვადის თაობაზე, სამართლებრივი დავა საქართველოს უზენაეს სასამართლოშიც გაგრძელდა.

2005 წლის 31 ოქტომბერს, როლანდ ბლადაძის კანონიერმა წარმომადგენლებმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საჩივრით მიმართეს და 2004 წლის 10 სექტემბრის, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს. მხარემ თავიდანვე სადავო გახადა ის ფაქტი, რომ სასამართლოს 10/09/2004 წლის გადაწყვეტილება ვადის დარღვევით ჩაბარდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების სათანადოდ გაცნობა და მასზე სამართლებრივი რეაგირება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი, ასევე დაუშვებლად იქნა ცნობილი და განუხილველად დატოვა. სასამართლოს განჩინებაში აღინიშნა, რომ "საკასაციო პალატა გაეცნო როლანდ ბლადაძის წარმომადგენლის საკასაციო საჩივარს და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული,

.

<sup>&</sup>lt;sup>23</sup> 2007 წლის 20 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოსამართლე ფ. ბასილაია.

დაუშვებლობის მოტივით, ვინაიდან არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397–ე მუხლის მოთხოვნებს. საქმეში არსებული საფოსტო გზვანილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებით ირკვევა, რომ როლანდ ბლადამეს აჭარის ა/რ უმაღლესი ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება გაეგზავნა 2004 წლის 8 ოქტომბერს. გზავნილის მეორე გვერდზე აღნიშნულია, რომ კურიერის მიერ გზავნილზე მითითებულ მისამართზე ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა და მეზობლის - როლანდ ბლადაძე იმყოფებოდა ქალაქგარეთ, რის შედეგადაც, განმარტებით, ადრესატი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება 2004 წლის 11 ოქტომბერს ჩაბარდა ქ. ბათუმის გამგეობას, რაც დასტურდება გზავნილზე დასმული ბეჭდით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს გამგეობისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397–ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების ერთთვიანი ვადა". (სტილი დაცულია)24

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა დასაბუთება, რომლის თანახმადაც, სადავოდ მიჩნეული გასაჩივრების ერთთვიანი ვადის საკითხს გააჩნდა შემდეგი დასაბუთება. კერძოდ, აჭარის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 10/09/2004 წლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებულ იქნა აჭარის პროკურატურის სასარჩელო განცხადება როლანდ ბლადაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ ისე, რომ სასამართლოს არ ესწრებოდნენ არც როლანდ ბლადაძე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81–ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არც მისი ადვოკატი, რომელიც მას აუცილებლად უნდა დანიშვნოდა. მხარემ მიუთითა, რომ დაირღვა კანონი, როდესაც არც სასამართლო უწყება და არც გადაწყვეტილება, სათანადო წესით, არც როლანდ ბლადაძეს და არც მის ოჯახის რომელიმე წევრს არ ჩაბარებია. ამასთან, მხარე მიუთითებდა, რომ 2004 წლის 8 ოქტომბრით სასამართლო გზავნილზე კურიერის შემდეგი ჩანაწერი: "მივედი აღნიშნულ მისამართზე. ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა. მეზობლების განმარტებით, როლანდ ბლადაძე იმყოფება ქალაქგარეთ. 11.10.2004 წ", არ შეიძლება სარწმუნო ცნობად მიღებულიყო, რადგანაც საქმეში არ მოიძებნა მეზობლების ხელმოწერით შედგენილი სათანადო ოქმი, რომელიც კურიერისთვის როლანდ ზლადაძის ქალაქგარეთ ყოფნის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაადასტურებდა. პირიქით, როლანდ ბლადაძის მეზობლები ამტკიცებდნენ საპირისპიროს, რომ მათთან არც სასამართლო უწყებით და არც გადაწყვეტილებით, სასამართლოდან არავინ მისულა, ხოლო თუ როდის ჩაიბარა მერიის კანცელარიამ გზავნილი, არსად მითითებული არ იყო. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცებაც, რა დროსაც, 2004 წლის 15 სექტემბრიდან, დაუსაბუთებლად და უკანონოდ მიჩნეული უძრავი ქონების მისამართზე იმყოფებოდა როლანდ ბლადაძის ოჯახი – სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე მარინა ესელიძე. კურიერი ერთხელ მაინც, რომ მისულიყო აღნიშნულ მისამართზე, იქ როლანდ ბლადაძის მეუღლე დახვდებოდა. ასევე, საქმეში არსებობდა ცნობა იმის შესახებ, რომ როლანდ ბლადაძე ცხოვრობდა და ჩაწერილ იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანის თემში. სასამართლო შეტყობინება არც აღნიშნულ მისამართზე გაგზავნილა.

როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველებმა, მას შემდეგ, რაც 2006 წლის 8 ნოემბერს სახელმწიფო ძალით ბათუმში, ერას ქუჩა #37, ბინა #8–დან იძულების წესით ოჯახის გამოსახლება მოხდა, როლანდ ბლადაძის საქართველოში დარჩენილმა ოჯახმა თავი ნათესავებს შეაფარა, ხოლო საერთო სასამართლოებთან სამართლებრივი დავა უშედეგოდ გაგრძელდა, დახმარებისა და სიმართლის დადგენის მიზნით, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართეს.

2007 წლის სხვადასხვა პერიოდში, საქმეთან დაკავშირებით, ოფიციალური წერილი გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტს 2004–2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 2001–2008 წლებში, ნინო ბურჯანაძეს, აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს 2004–2012

-

 $<sup>^{24}</sup>$  2005 წლის 24 ნოემზრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე: #ბს-1472-1047 (კ-05), მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე), ნ. ქადაგიძე, ბ. კობერიძე

წლებში ლევან ვარშალომიძეს, ასევე იმ სამთავრობო უწყებებს, რომლებიც კანონით საქმესთან დაკავშირებული აღმოჩნდა. როლანდ ბლადაძის მეუღლის, მარინა ესელიძის მიერ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ გაგზავნილ წერილებში ვკითხულობთ: "თუ არ გაირკვევა სიმართლე, იძულებული გავხდები მივმართო სხვადასხვა ქვეყანას თავშესაფრის მოთხოვნით. ნუ წაართმევთ ჩემს შვილებს ისედაც გამწარებულ ბავშვობას. ნუ ჩაუკლავთ მათ ერთადერთ იმედს. მათ ხომ არავითარი დანაშაული ქვეყნის წინაშე არ მიუძღვით. მომიტევეთ ისიც, რომ განცხადებას მისამართს ვერ ვუთითებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მე ის აღარ გამაჩნია" (სტილი დაცულია).

როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ გაგზვანილ წერილებს, არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ერთადერთი გამოხმაურება, რომელიც საქმესთან დაკავშირებით მომზადდა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, ასევე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ეკუთვნის.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, 2004–2008 წლებში, ლევან ბეჟაშვილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიმართ გაგზავნილ წერილში საუბრობს: "პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შემოვიდა მოქალაქე მარინა ესელიძის განცხადება, სადაც განმცხადებელი აღნიშნავს, რომ აჭარის უმაღლესმა სასამართლომ მის მეუღლეს, როლანდ ბლადაძეს საქმის არსებითი გარემოებების შესწავლის გარეშე 2004 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჩამოართვა ქონება, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი. აღნიშნული გადაწყვეტილება კი, მათთვის ცნობილი გახდა თითქმის ერთი წლის შემდეგ. ამასთან, განმცხადებელი მიუთითებს, რომ მათ საკუთრებაში იმყოფებოდა მხოლოდ საცხოვრებელი ბინა ქ. ბათუმში, ერას ქ. #37–ში, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული დანარჩენი ქონება არც მათ და არც მათი ახლო ნათესავების საკუთრებაში არასოდეს ყოფილა. ამასთან, მოქალაქის მტკიცებით, უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობილი ქონება შეძენილი აქვს რამდენიმე წლით ადრე, სანამ დაინიშნებოდა საჯარო მოხელის თანამდებობაზე. განმცხადებელი, ასევე მიუთითებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან რიგ პროცესუალურ დარღვევებზე. გთხოვთ, განიხილოთ განცხადებაში აღნიშნული ფაქტები და სასამართლოს მხრიდან კანონდარღვევის არსებობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღოთ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ზომები" (სტილი დაცულია).<sup>25</sup>

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შინაარსის წერილი მომზადდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის 2004–2008 წლებში, ელენე თევდორამის მხრიდან, რომელიც გაგზავნილ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის მიმართ. აღნიშნულ წერილში ელენე თევდორაძემ ყურადღება დაუთმო შემდეგ გარემოებას, რომ "მოქალაქე ჩვენგან ითხოვს სათანადო ღონისძიების გატარებას, რათა სამ არასრულწლოვან შვილთან ერთად, არ დარჩეს საცხოვრებელი ბინის გარეშე, რაც ოჯახისთვის შექმნის გაუსაძლის მდგომარეობას. ჩვენი მომართვის მიზანია მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოება, რომ გამოძიება ჩატარდა ბრალდებულის დაუსწრებლად, განცხადებაში მითითებული ერას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, შეძენილია ბრალდებულის თანამდებობაზე დანიშვნამდე ორი წლით ადრე, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა იყო ნაჩქარევი, გარემოებების შესწავლის გარეშე. ასევე, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ განმცხადებელი არ ეხება თავისი მეუღლის ბრალეულობას და არც დანარჩენი ქონების ჩამორთმევის საკითხს. ძირითადად, სადაოდ ხდის ერას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის ჩამორთმევის საკითხს. ის, ასევე აღნიშნავს, რომ მის საცხოვრებელ ბინაში ხელისუფლება აპირებს შეასახლოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების რეალობა და დადასტურების შემთხვევაში, პროკურატურის

<sup>-</sup>

 $<sup>^{25}</sup>$  2007 წლის 20 ივნისის საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის #3130-07 მიმართვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ვალერი ცერცვამეს.

ხელმძღვანელობამ მიმართოს სასამართლოს აღნიშნული საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით, რადგან განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, იქმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ სინამდვილეში დარღვეული იქნა განმცხადებლის კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები" (სტილი დაცულია),<sup>26</sup> თუმცა საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიმართვებს შედეგი არ მოჰყოლია. საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირებს სათანადო პოლიტიკური და სამართლებრივი ნება არ აღმოაჩნდათ.

როლანდ ბლადაძის კანონიერ წარმომადგენელთა ვარაუდი სინამდვილე აღმოჩნდა. ბათუმში, ერას ქუჩა #37, ბინა #8 უძრავი ქონება, რომელიც 2004 წლის 10 სექტემბრის აჭარის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა უკანონოდ და დაუსაბუთებლად, გადაეცა სახელმწიფოს, რის შემდეგაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად -1000 ლარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა.<sup>27</sup>

2007 წლის 6 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის #285 განკარგულების თანახმად, ძალაში შევიდა გადაწყვეტილება "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ". პრეზიდენტის განკარგულებაში აღინიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქ. ბათუმში გადატანასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემოთ მითითებულ წევრებს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - თითოეულს 1000 (ათასი) ლარად, გადაეცეთ შემდეგი სახელმწიფო ქონება (მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკეთებთან ერთად):

- 1. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს ქ. ბათუმში, ერას ქ. # 37ში, ბინა #8;
- 2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს კონსტატნტინე ვარძელაშვილს ჭავჭავაძის ქ. #113, ბინა #8-9;
- 3. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ბესიკ ლოლაძეს ქ. ბათუმში, გამსახურდიას ქ. #2-ში, ბინა #39;
- 4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ვახტანგ გვარამიას ქ. ბათუმში, ასათიანის ქ. #8-ში, ბინა #3:
- 5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ქეთევან ერემაძეს ქ. ბათუმში, გამსახურდიას ქ. #38-ში, ბინა #6:
- 6. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ბესარიონ ზოიძეს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. #22-ში, ბინა #1;
- 7. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ოთარ სიჭინავას ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. #22-ში, ბინა #9;
- 8. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ჯონი ხეცურიანს ქ. ზათუმში, გრიზოედოვის ქ. #28-ში, ზინა #13;

2007 წლის 6 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მითითებული სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვეში, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში, მითითებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების

<sup>27</sup> 2006 წლის 14 ივლისს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გიორგი პაპუაშვილი დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ხოლო 29 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. დღემდე – საქართველოს საკონსტუტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

 $<sup>^{26}</sup>$  2007 წლის 18 ივნისის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის #3132-07 მიმართვა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის, არჩილ გიორგამის მიმართ.

შეწყვეტის შემთხვევაში გადაცემული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ დაბრუნება, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში, მყიდველებს უფლება ჩამოერთვათ გაესხვისებინათ, დროებით სარგებლობაში გადაეცათ, იპოთეკით ან სხვაგვარად დაეტვირთათ მითითებული სახელმწიფო ქონება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, გააჩნდათ ვალდებულება, მოეხდინათ გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა. პრეზიდნეტის განკარგულებითვე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება განკარგულების შესრულების მიზნით.

2007 წლის 14 ივნისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის #1-1/905 ბრძანების თანახმად, $^{28}$  ქ. ბათუმში, ერას ქუჩა #37-ში, ბინა #8, მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობით გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს. 2007 წლის 19 ივნისს, სახელმწიფოსა და გიორგი პაპუაშვილს შორის უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. $^{29}$  2007 წლის 21 ივნისს, სახელმწიფოსა და გიორგი პაპუაშვილს შორის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, $^{30}$  ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის ბრძანებით, $^{31}$  საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ქ. ბათუმში, ერას ქუჩა #37-ში მდებარე ბინა #8-ზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ფართობზე, გადაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. $^{32}$ 

2013 წლის 12 აპრილს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება მიიღო.<sup>33</sup> პროკურატურამ როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო შეწყვიტა. პროკურატურამ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2004 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით როლანდ ბლადაძის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისმიეზა – დაპატიმრეზა და ამავე სასამართლოს 2004 წლის 9 სექტემბრის დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ. პროკურატურის გადაწყვეტილება დაეფუმნა საქმის ყოველმხრივ შესწავლასა და ფაქტების გადამოწმებას. კერძოდ, აჭარის ა/რ პროკურატურამ აჭარის ა/რ საზაჟო სამმართველოში მიმდინარე კომპლექსური რევიზიის 2004 წლის 2 ივლისისა და 9 აგვისტოს შუალედურ აქტებში, რომელიც მაშინდელ გამოძიებას მოყვანილი ჰყავდა როლანდ ბლადაძის მიმართ წაყენებული ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად, როლანდ ბლადამე ვერ გამოავლინა, როგორც თურქეთიდან საქართველოში შემოტანილი პალმების განბაჟებაზე პასუხსიმგებელი პირი. პროკურატურამ მიუთითა, რომ მითითებულ აქტში გაკეთებულია მხოლოდ ჩამონათვალი იმ ხელმძღვანელი პირებისა, რომლებიც მითითებულ პერიოდში მუშაობდნენ აჭარაში სარფის საბაჟოზე. საქმეზე დაკითხული აჭარის ა/რ საბაჟო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები, სულ 10 პიროვნება, რომლებსაც საბაჟო გამშვებ პუნქტ "სარფის" ინსპექტირების უფლებამსოილება გააჩნდათ, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდნენ, რომ ზემოაღნიშნული პალმების განბაჟება არ შედიოდა როლანდ ბლადაძის კომპეტენციაში. სატვირთო ავტომანქანებით შემოსული ტვირთი, ყველა შემთხვევაში, უნდა განბაჟებულიყო "ადლიის" საბაჟო ტერმინალში, რადგანაც გამოძიებით დადგინდა, რომ სარფის საბაჟო–გამშვებ პუნქტში სატვირთო

٠

მიღება–ჩაბარების აქტი.

 $<sup>^{28}</sup>$  2007 წლის 14 ივნისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ გიორგი არველაძის ბრძანება "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ".  $^{29}$  2007 წლის 19 ივნისის სახელმწიფოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შორის გაფორმებული

 $<sup>^{30}</sup>$  2007 წლის  $^{21}$  ივნისის სახელმწიფოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შორის ნოტარიულად დამოწმებული ნასწყიდობის ხელშეკრულება.

<sup>&</sup>lt;sup>31</sup> 2007 წლის 16 ივლისის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრ გიორგი არველაძის ბრძანება გიორგი პაპუაშვილისთვის საკუთრების დადასტურების შესახებ.

 $<sup>^{32}</sup>$  2007 წლის 6 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა #352-3

 $<sup>^{33}</sup>$  2013 წლის 12 აპრილის აჭარის ა/რ პროკურორის მოადგილის ირაკლი იმერლიშვილის დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

მანქანებით შემოსული ტვირთების განბაჟება საერთოდ არ ხდებოდა. აჭარის ა/რ საბაჟო სამმართველოს უფროსმა, ლევან გვარიშვილმა მოწმის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ როგორც შემდგომ მისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პალმები დაირგო ბათუმის ტერიტორიაზე. პალმები წარმოადგენდა ბათუმის მერიის ტვირთს და განბაჟების თანხა სახელმწიფოს მიერ უნდა ყოფილიყო გადახდილი, რაც ისევ ბიუჯეტში ჩაირიცხებოდა. შესაბამისად, ის, რომ პალმები არ განბაჟდა – სახელმწიფოს ამით ზიანი არ განუცდია. ამასთან, შპს "ბათუმგამწვანების" თანამშრომლებმა, რომლებიც მოწმის სახით დაიკითხნენ (სულ, 8 თანამშრომელი), მხოლოდ დაადასტურეს პალმების თურქეთის რესპუბლიკიდან შემოტანის ფაქტი და არა როლანდ ბლადამის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ამასთან, აჭარის ა/რ პროკურატურამ როლანდ ზლადამე კიდევ ერთ ეპიზოდში სცნო უდანაშაულოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩატარებული გამოძიებით, არ დადასტურდა როლანდ ზლადაძის მიერ მოქალაქე მიხეილ ზოგვერაძისთვის თანხის გამოძალვის ფაქტიც. 2013 წლის 20 მარტს, მიხეილ ზოგვერაძემ განცხადებით მიმართა აჭრაის ა/რ პროკურატურას და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმეზე დამატებითი დაკითხვა. მიხეილ ზოგვერაძე იმავე დღეს დაიკითხა დამატებით, სადაც მან უჩვენა, რომ მის მიერ გამოძიებისთვის მიცემული წინა ჩვენებები როლანდ ზლადაძის მიმართ თანხის გამოძალვასთან დაკავშირებით, არ იყო სწორი. 2004 წელს, იგი რამდენჯერმე დაიკითხა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერ გენერალურ პროკურატურაში, შემდეგ აჭარის ა/რ პროკურატურაში, რა დროსაც მან მისცა ცრუ ჩვენება. მიხეილ ზოგვერაძემ აღნიშნა, რომ თავს არ მიიჩნევდა დაზარალებულად და არც როლანდ ზლადაძის მიმართ გააჩნდა პრეტენზიები. მიხეილ ზოგვერაძემ უარი თქვა სამოქალაქო სარჩელზეც. შესაბამისად, აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებით, გაუქმებულ იქნა 2004 წლის 15 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც მიხეილ ზოგვერაძე დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ იქნა ცნობილი.

2013 წლის 16 მაისს, როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველმა, სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ადმინისტრაციულ—სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. კერძოდ, სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრეზიდნეტის 2007 წლის 6 ივნისის #285 განკარგულების, საქართველოს ეკონომიკის განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1–1/906 ბრძანების, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაცემული #352–3 საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნის მოპასუხეებად განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მესამე პირად კი გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

2013 წლის 21 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა განჩინება საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.<sup>34</sup> სასამართლომ განმარტა, რომ სადავო უმრავი ქონების ადგილსამყოფელია ქალაქი ბათუმი, რის გამოც, როლანდ ბლადამის სასარჩელო განცხადება განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. საქმეს ბათუმის საქალაქო სასამართლო 2013 წლის 28 მაისს გაეცნო, თუმცა 2013 წლის 3 ივნისს, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება მიიღო.<sup>35</sup> სასამართლომ მოითხოვა მოსარჩელე როლანდ ბლადამის ინტერესების დამცველს დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა, თუ რა იგულისხმებოდა მიყენებული ზიანის ანაზღაურების პირვანდელი მოთხოვნის აღდგენით. სასამართლომ მიუთითა, რომ თუკი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ—სამართლებრივი აქტები გაუქმდებოდა, თავის მხრივ აღდგებოდა ის პირვანდელი მდგომარეობა, რაც არსებობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ—სამართლებრივი აქტების მიღებამდე. ამიტომაც, მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებინა, თუკი ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით იქნებოდა მოთხოვნილი, მკაფიო უნდა

<sup>34</sup> 2013 წლის 21 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე: #3/1684–13, მოსამართლე: მირანდა ერემაძე.

<sup>&</sup>lt;sup>35</sup> 2013 წლის 03 ივნისის ზათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე: #3/206/13, მოსამართლე: ეკატერინე ჯინჭველაშვილი.

ყოფილიყო, რა ოდენობით ზიანის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდათ მოპასუხე მხარეებს. ამასთან, სასამართლომ მოსარჩელე მხარეს დაავალა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების წარმოდგენა და სასარჩელო გრაფაში მირითადი და ალტერნატიული მისამართის აღნიშვნვა.

2013 წლის 18 ივნისს, ზათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო განჩინება მოსარჩელე როლანდ ბლადაძის დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველმა დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა:

- 1. საქართველოს პრეზიდნეტის 2007 წლის 6 ივნისის #285 განკარგულების ბათილად ცნობა;
- 2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1-1/906 ბრძანების ბათილად ცნობა;
- 3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის #1-1/1072 ბრძანების ბათილად ცნობა;
- 4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მიერ გიორგი პაპუაშვილზე გაცემული #352–პ საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა;
- 5. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში განახლებულმა საქმისწარმოებამ მოულოდნელი განვითარება მიიღო. პროცესის მონაწილეებმა — საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მესამე პირმა, გიორგი პაპუაშვილმა სასამართლოს წინაშე დააყენეს საკითხი სარჩელის განსჯადობის შეუსაბამობის შესახებ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 1 სექტემბერს მიიღო განჩინება განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისთვის გადაეგზავნა.

2013 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, როლანდ ბლადაძის საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ განმარტა, რომ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. ასეთ შემთხვევაში კი განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დავის საგანს წარმაოდგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების — მათ მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ—სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც, საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე, სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

მოსარჩელე როლანდ ბლადამის პოზიციას, სასამართლოს უკანონო და დაუსაზუთეზელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სუბიექტური შეფასება უწოდა დავაში ჩართულმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მესამე პირმა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა. პროცესში მონაწილე მოპასუხეებმა მიუთითეს, რომ როლანდ ზლადაძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ერთ–ერთ სამართლებრივ გარემოებად სარჩელის ხანდაზმულობა വറിറ്റ്ര დასახელებულიყო. მოპასუხეებმა სასამართლოს აღნიშნულის დასასაბუთებლად მიუთითეს "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის მე–3 პუნქტი,

<sup>&</sup>lt;sup>36</sup> 2013 წლის 9 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე: #ბს–425–414 (გ–13), მოსამართლეები: ლევან მურუსიძე (მომხსენებელი), მაია ვაჩაძე, ნუგზარ სხირტლაძე.

რომლის მიხედვითაც, "პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი".

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის $^{37}$  პოზიციით:

საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებით დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე ძალაშია და მის გაუქმებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმოება არ მიმდინარეობს. ვინაიდან სადავო ქონება განკარგვის მომენტში საჯარო რეესტრის ჩანაწერით ირიცხებოდა სახელმწიფო საკუთრებად, პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო გამოეცა აქტი ქონების პირდაპირი წესით მიყიდვის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის #285 განკარგულება სრულად შეესაბამება კანონს და დაცულია მისი მომზადებისა და გამოცემის წესი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარეზის სამინისტროს $^{38}$  პოზიციით:

სამინისტროს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტები გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის რაიმე საფუძველი. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა აქარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე ძალაშია და მის გაუქმებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმოება არ მიმდინარეობს. ვინაიდან სადავო ქონება განკარგვის მომენტში საჯარო რეესტრის ჩანაწერით აღრიცხული იყო სახელმწიფო საკუთრებად, სამინისტროს სრული უფლება ჰქონდა განეხორციელებინა მისი პრივატიზაცია კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1–1/906 და 2007 წლის 16 ივლისის #1–1/1072 ბრძანებები სრულად შეესაბამება კანონს და დაცულია მათი მომზადებისა და გამოცემის წესი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის პოზიციით:<sup>39</sup>

როლანდ ბლადაძისათვის ქონების ჩამორთმევის საფუძველი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და არა მის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა. სისხლისსამართლებრივი დევნა, საერთოდ არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო კავშირში დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან. აღნიშნული გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობითაც კანონიერ ძალაში იმყოფება და იგი წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვის საფუძველს. შესაბამისად, სადავო აქტებს არც გამოცემის დროს (2007 წელს) და არც დღეის მდგომარეობით, შემხებლობა არ ჰქონიათ მოსარჩელის რომელიმე, მათ შორის საკუთრების უფლებასთან და მათი მოქმედებით ამ უკანასკნელს არანაირი პირდაპირი და უშუალო ზიანი არ განუცდია. სადავო აქტები ეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზებას. პრივატიზაციის დროს ეს ქონება სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და შესაბამისად, მოხდა მისი პრივატიზებაც. იმ დრომდე, სანამ არსებობს ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

<sup>37</sup> საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია სასამართლოს პირველ ინსტანციაში წარმოადგინა ავთანდილ თეთრაშვილმა, ხოლო სააპელაციო სასამართლო ეტაპზე: ფიქრია ზირაქაშვილმა.

 <sup>&</sup>lt;sup>38</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტრო სასამართლო ინსტანციებში წარმოადგინა სვიმონ ფირცხალაიშვილმა.
 <sup>39</sup> ადმინისტრაციულ საქმეზე შესაგებელი სარჩელი თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა მოამზადა და წარმოადგინა.

გადაწყვეტილება, მოსარჩელეს არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი ინტერესი სადავო აქტების გაუქმებასთან დაკავშირებით და არც მათი გაუქმებაა კავშირში მოსარჩლის საკუთრების უფლებასთან.

- მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო ქონება იყო არა სახელმწიფოს, არამედ მისი საკუთრება. თუმცა ამის საპირისპიროზე მეტყველებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. სანამ არსებობს 2004 წლის 10 სექტემბრის ხსენებული გადაწვეტილება, მოსარჩელე ვერ იდავებს, რომ პრივარიზაციისას სახელმწიფომ განკარგა არა სახელმწიფო ქონება, არამედ კერმო საკუთრება. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ფაქტობრივად გულისხმობს აჭარის ავტონომიური რესპუზლიკის უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემზრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და ამ საკითხზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთადერთ წესს იცნობს. ხსენებული წესი განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით და თავის თავში მოიაზრებს სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვას და გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნას, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს არ განუხორციელებლია (სარჩელით მიმართა სასამართლოს). გარდა აღნიშნული წესით საქმის განხილვისა, ყოვლად დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაწყვეტილი საკითხების საცილოდ გახდა და განმეორებით მსჯელობა, რის მიღწევასაც ცდილობს მოსარჩელე.
- ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ იმ მომენტისათვის, როდესაც გიორგი პაპუაშვილმა სახელმწიფოსთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, აღნიშნული ბინა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო, როგორც სახელმწიფო საკუთრება. საქართელოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: "იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რესსტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა." აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი პაპუაშვილი წარმოადგენს სადავო ქონების კეთილსინდისიერ შემძენს, ვინაიდან ქონების შეძენის დროს იგი საჯარო რესსეტრში რეგისტრირებული იყო, როგორც სახელმწიფო საკუთრება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 სექტემბერის განჩინებით, როლანდ ბლადაძის საქმის განხილვა, განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაეცა.

2013 წლის 7 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ როლანდ ბლადამის კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ქონება პირდაპირი ფორმით პრივატიზების მომენტისთვის წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და მოსარჩელე ვერ უთითებდა გასაჩივრებული აქტების გამოცემის მომენტში, კანონის ისეთ დარღვევაზე, რაც შეიძლება გამხდარიყო ამ აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო არგუმენტაციისა და იმ სამართლებრივი ნორმის მითითება, რომლის საფუძველზეც დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისა და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, ვერ უთითებდა კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც, საკითხზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული ინდივიდუალურ–ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბერის გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2014 წლის 19 მარტის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, როლანდ ბლადაძის სააპელაციო სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბერის გადაწყვეტილება.

თბილისის სასპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველის სასარჩელო დასაბუთება, რომლის თანახმადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავჯდომარე გიორგი პაპუაშვილს როლანდ ბლადაძის საცხოვრებელი სახლი მისთვის ჩამორთმევისა და საჯარო რეესტრში სახელმწიფოს სახელზე აღრიცხვის შემდეგ გადაეცა, რაც ატარებდა ფორმალურ ხასიათს და უძრავი ქონება გიორგი პაპუაშვილმა მიიღო სიმბოლურ ფასად. კანონიერი ინტერესების დამცველის აზრით, აქ ყურადღება მისაქცევია ქონების სრულიად უკანონოდ ჩამორთმევიდან მის გადაცემამდე სხვა პირისთვის, ირღვეოდა თუ არა კანონი. როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველის დასაბუთებით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კანონი დაირღვა. შესაბამისად, არ შეიძლებოდა სასამართლოს ცალკე კონსტექსტში განეხილა პრეზიდენტის განკარგულებისა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება. აღნიშნული ბრძანებების მხოლოდ ერთიან სიბრტყეში განხილვა იქნება შედეგიანი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა — დაირღვა თუ არა კანონი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, ხოლო შემდგომში თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მხედველობაში არ მიიღო დასაბუთება, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტის სადავო განკარგულების მიღებას საფუძვლად დაედო როლანდ ბლადაძის მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებები. აღნიშნული აქტით შეილახა როლანდ ბლადაძის კონსტიტუციური უფლება - საკუთრების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, საქართველოს პრეზიდენტი უფრო გულისხმიერად უნდა მოქცეოდა ჩამორთმეული საცხოვრებელი სახლის სხვისთვის გადაცემას, თუნდაც ის სხვა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ყოფილიყო. საქართველოს პრეზიდენტს ევალებოდა რეაგირება მოეხდინა როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველთა არაერთი წერილობით მიმართვისთვის, საქმესთან დაკავშირებით შეტყობინებას. მოეხდინა აღნიშნულ განცხადებაში მოყვანილი საფუძვლების შესწავლა და სწორედ ამის შემდეგ გამოეცა განკარგულება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის თანახმადაც, არ შეიძლებოდა ჩამორთმეული ქონება, ამ შემთხვევაში როლანდ ბლადაძის ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, განკარგულიყო არსებითი გარემოებების შესწავლის გარეშე.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს დასაბუთება და 2014 წლის 19 მარტის განჩინებით აღნიშნა, რომ როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთა მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი საწინააღმდეგო არგუმენტაცია და სამართლებრივი ნორმის მითითება, რაც დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგობას. სასამართლომ არ გაითვალისწინა როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველის მსჯელობა, რა დროსაც, მუდმივად იყო ხაზგასმული ერთი უტყუარი მტკიცება, რომ კანონის უხეში დარღვევა დაიწყო აჭარის პროკურატურის მიერ და დასრულდა ჩამორთმეული ქონების მესამე პირისთვის გადაცემით. მითითება იმაზე, რომ ქონება ჩამორთმეული იყო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული, ვერ გამოდგება, ვინაიდან, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ისე ეკონომიკური განვითარების მაშინდელ მინისტრს, ევალებოდათ აქტის გამოცემამდე, საკითხის სრულად და ობიექტურად შესწავლა, რაც მათ მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, კანონისა და კონსტიტუციის მოთხოვნები ირღვეოდა ყოველ ეტაპზე და ირღვევა დღესაც. შესაბამისად, არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში არსებობდეს სხვისი

სახლი, რომელიც მას საქართველოს პრეზიდენტმა უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე გადასცა, რა დროსაც, როლანდ ბლადაძეს მოჭრილი ჰქონდა ბრძოლის ყველა გზა.

როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის განჩინება, 2014 წლის ივნისში, საქართველოს უზენაესს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა საქმეზე საკასაციო სასამართლოს, 2014 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით, გადაწყვეტილება გამოტანილი არ აქვს.

აღსანიშნავია, რომ როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველმა, 2013 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი მიმართვის პარარელურად, საქმეზე ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვით, მოპასუხე აჭარის ა/რ პროკურატურის მიმართ, ბათუმის საქალაქო სასამართლოსაც მიმართა.

2013 წლის 23 აგვისტოს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით. როლანდ ზლადაძის სარჩელი ა $\frac{1}{2}$ არის  $\frac{1}{2}$ არის ა/რ პროკურატურის მიმართ, არ დაკმაყოფილდა.  $\frac{1}{2}$  სასამართლომ გადაწყვეტილების საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითა, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. სასამართლომ განმარტა, რომ იმპერატიულ ნორმას წარმოადგენდა აღნიშნული და იგი განსაზღვრავდა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 5 წელი არის ის მაქსიმალური ვადა, რომლის გათილად ცნობის თუ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა შემდეგ გადაწყვეტილების გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლების არსებობის მიუხედავად, აღარ შეიძლება საქმის წარმოების განახლება. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის განჩინებით დადგენილად იყო მიჩნეული, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გავიდა 2004 წლის 11 ნოემბერს. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იყო 2004 წლის 12 ნოემბრიდან, განმცხადებლის მიერ კი განცხადება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის სასამართლოში წარმოდგენილი იქნა 2013 წლის 17 მაისს, წარმოების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 8 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის არსებობის მიუხედავადაც კი გამორიცხავს საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას.

 $<sup>^{40}</sup>$  2013 წლის 21 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება #103 განც/13, მოსამართლე: ხათუნა ბოლქვა ძე.

#### 3. საკითხის ფაქტობრივი მხარე

ორგანიზაციამ 2014 წლის 3 ივნისს წერილით მიმართა $^{41}$  საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს და შემდეგ საკითხებზე გამოხმაურება ითხოვა:

- 1. გაგაჩნდათ თუ არა ინფორმაცია როლანდ ზლადამის შესახებ, კერმოდ, იმ ზრალდებისა და სავარაუდო დანაშაულის შესახებ, რომელსაც მას სახელმწიფო ზრალდების მხარე ედავეზოდა? რა ინფორმაციას ფლობდით იმ უმრავი ქონების ყოფილი მესაკუთრის შესახებ, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით თქვენ გადმოგეცათ?
- 2. როგორია თქვენი პოზიცია მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილება როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დგას თუ არა თქვენს წინაშე სამართლებრივი დილემის საკითხი რამდენად მართლზომიერია ფლობდეთ და ცხოვრობდეთ საკუთრებაში, რომლის ყოფილ კეთილსინდისიერ მხარეს გაქარწყლებული აქვს პოლიტიკური ნიშნით წაყენებული ბრალდება?
- 3. როგორია თქვენი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრების მიმართ, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმეული ქონების მიღებაზე? თუკი თქვენი კოლეგები, მაღალი პროფესიული ბიოგრაფიით გამორჩეული მოსამართლეები უარს ამბობენ ჩამორთმეული ქონების ფლობაზე, რამდენად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილება ცხოვრობდეს როლანდ ბლადაძის ყოფილ საკუთრებაში, რომელსაც დღეს არავითარი ბრალდება არ დაუმტკიცდა.
- 4. როგორ ფიქრობთ, როლანდ ბლადაძის მიმართ, აჭარის 2004 წლის რევოლუციის შემდგომ, ჰქონდა თუ არა ადგილი შერჩევით მართლმსჯულებას. მოხდა თუ არა პოლიტიკური ნიშნით მის მიმართ დევნა, როგორც აჭარის ყოფილი მეთაურის გუნდის წევრისა და 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსული ახალი ხელისუფლებისთვის მიუღებელი კადრის მიმართ? სხვა შემთხვევაში, რით ახსნით, აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებას, როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ?
- 5. როგორ ფიქრობთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, როლანდ ბლადაძის საქმეზე გაჩენილი კითხვები, რომელიც თქვენ სადაოდ გამხდარ უძრავ ქონებასთან პირდაპირ თუ ირიბად გაკავშირებთ, იქონიებს თუ არა გავლენას მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს დამოკიდებლობის ხარისხზე? არსებული ისტორია, რამდენად კავშირშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სანდოობასთან და მიუკერძოებლობასთან, რადგანაც თქვენ ბრძანდებით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი პირი.
- 6. როგორია თქვენი პოზიცია, როლანდ ბლადაძის საქმეში არსებულ კიდევ ერთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლის მხარეც თქვენ ბრძანდბეით. კერძოდ, რამდენად კანონიერად მოხდა როლანდ ბლადაძის კუთვნილი დამხმარე ნაგებობების მისაკუთრება, კერძოდ, სამეურნეო სათავსო, ავტოფარები ფართი 36,63 კვ.მ. და სადარბაზოს 13.0 კვ.მ-სა და მანსარდაზე მიშენებული 59.31 კვ.მ. სულ 62.31 კვ.მ?

 $<sup>^{41}</sup>$  ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატეზის" 2014 წლის 3 ივნისის მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

- 7. როგორ აფასებთ, რამდენად კანონიერი და მართლზომიერი მოქმედება განახორციელეთ, როდესაც თქვენს საკუთრებაში აღმოჩნდა როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარები, როდესაც უმრავი ქონება როლანდ ბლადაძის საკუთრებაში ირიცბებოდა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ავტოფარების ჩამორთმევა არ მომხდარა. სასამართლოს არც ერთ გადაწყვეტილებაში ავტოფარების ჩამორთმევა ნაბსენები არ არის.
- 8. თქვენ ბრძანდებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც კანონი და უფლებამოსილება მაღალ პასუხისმგებლობას და სტანდარტს აკისრებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია თქვენი ხედვა და პოზიცია როგორ აფასებთ 2003–2012 წლების ხელისუფლების საქმიანობის პერიოდში, მოქალაქეებისთვის, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებისთვის და სხვადასხვა ჯგუფებისთვის, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს?
- 9. როგორ აფასებთ, სახელმწიფოს მხრიდან სიმბოლურ ფასად ქონების გადაცემის პრაქტიკას?
- 10. როგორ აფასებთ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატივას, რომელიც, ერთი მოსაზრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო?
- 11. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მაღალი რანგის სამართლის სპეციალისტი, როგორ აფასებთ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს როლანდ ბლადამის საქმესთან დაკავშირებით? კერმოდ, გადაწყვეტილებებს, რომლის მხარედ თქვენ ხართ ჩართული?
- 12. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და სამართლის სპეციალისტი, როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა აღმოიფხვრას საკითხი და მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ქონება, რომლებსაც სახელმწიფომ უკანონდ ჩამოართვა და სხვა პირებს გადასცა?

ორგანიზაცია 2014 წლის 23 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან გამოხმაურებაზე დაყოვნების გარკვევის მიზნით, დაუკავშირდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსს, ლიანა ბაგაშვილს, რომელმაც ხმამაღალი და მკაცრი ტონით მიუთითა, რომ საკითხზე გამოხმაურება შეიძლება მომზადებულიყო, შეიძლება – არა. ორგანიზაცია ინფორმაციის მიღებისა და საკითხში გარკვევის მიზნით, ასევე დაუკავშირდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პრეს–მდივან მინიკო ბერიძეს, რომელმაც გამოხმაურების მომზადებაში ჩართულობის სურვილი გამოთქვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსის, ლია ბაგაშვილის 2014 წლის 26 ივნისის #01/01-295 წერილით, პასუხი გაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ დასმულ კითხვებს. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოხმაურებაში ვკითხულობთ: "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლში 2006 წლის 7 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფად განისაზღვრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრს კანონმდებლობის, მათ შორის "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ, პირდაპირი მიყიდვის წესით, გადაეცათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები ქ. ბათუმში. იქედან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ბინები ქ. ბათუმში გადაეცათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებითა და დადგენილი წესით, მათ მიიღეს საჯარო რეესტრის მონაცემებში რეგისტრირებული კანონიერი მესაკუთრისგან (სახელმწიფოსგან) უფლებრივად უნაკლო ქონება. ამასთანავე გაცნობებთ,

რომ თქვენ მიერ წერილში დასმული სხვა საკითხების განხილვა, არ განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას" (სტილი დაცულია).

ორგანიზაციამ 2014 წლის 10 ივნისს წერილით მიმართა<sup>42</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და დაინტერესდა, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვის სიმბოლურ ფასად გადაცემული უძრავი ქონების განკარგვაზე სასამართლოს რომელმა მოსამართლეებმა გამოთქვეს თანხმობა, რომელმა მოსამართლეებმა თქვეს უარი და 2014 წლის მდგომარეობით, ვინ არის განკარგულებით გადაცემული ქონების მესაკუთრე.

- 1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1–1/906 ბრძანების "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ" თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენ წევრთან გააფორმა სახელმწიფომ ნასყიდობის ხელშეკრულება?
- 2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1–1/906 ბრძანების "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ" თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენმა წევრმა განაცხადა უარი სიმბოლურ ფასად სახელმწიფო ქონების მიღებაზე? გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, ვინ იყვნენ აღნიშნული პირები?
- 3. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის #1–1/906 ბრძანების "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ" თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რომელმა წევრმა გაასხვისა, ბრძანებით აღიარებულ ვადაში, სახელმწიფოს მხრიდან გადაცემული ქონება?

ორგანიზაციამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის #285 განკარგულების საფუძველზე, ბათუმში უმრავი ქონების მესაკუთრეები გახდნენ, 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, აღნიშნული ქონება გასხვისებულია და ბევრი მათგანი დატვირთულია იპოთეკით. უმრავ ქონებაზე საკუთრეების უფლებას დღემდე მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი ინარჩუნებს, რომელიც როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ სახლში, ერას ქ. #37-ში, ბინა #8—ში ცხოვრობს.

მონიტორინგმა ცხადყო, რომ 2007 წელს, სახელმწიფოს მხრიდან სიმზოლურ ფასად -1000 ლარად გადაცემული უძრავი ქონება მოსამართლეებს აღარ ეკუთვნით:

1. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, კონსტანტინე ვარძელაშვილის უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. #113, ბინა #8-9, ამჟამინდელი მესაკუთრეა თემურ გოგიჩაიშვილი. მოსამართლემ უძრავი ქონება 02/06/2011 წელს გაასხვისა;

.

 $<sup>^{42}</sup>$  s/m "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 10 ივნისის მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს.

- 2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ზესიკ ლოლაძის უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, გამსახურდიას ქ. #2, ბინა #39, ამჟამინდელი მესაკუთრეა ლაურა ცინცაძე. მოსამართლემ უძრავი ქონება 29/01/2013 წელს გაასხვისა;
- 3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ვახტანგ გვარამიას უმრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, ასათიანის ქ. #8, ბინა #3.
- 4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ქეთევან ერემაძის უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, გამსახურდიას ქ. #38, ბინა #6, ამჟამინდელი მესაკუთრეა ირმა ბერძენიშვილი. მოსამართლემ უძრავი ქონება 01/11/2009 წელს გაასხვისა;
- 5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ბესარიონ ზოიძის უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის ქ. #22, ბინა # 1, ამჟამინდელი მესაკუთრეა შპს "MIX–ბათუმი". მოსამართლემ უძრავი ქონება 26/12/2011 წელს გაასხვისა;
- 6. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ოთარ სიჭინავას უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის ქ. #22, ბინა #9, ამჟამინდელი მესაკუთრეა შპს "MIX–ბათუმი". მოსამართლემ უძრავი ქონება 04/11/2011 წელს გაასხვისა;
- 7. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ჯონი ხეცურიანის უძრავი ქონების მისამართზე: ბათუმი, გრიბოედოვის ქ. #28, ბინა #13, ამჟამინდელი მესაკუთრეა ნანი ასათიანი. მოსამართლემ უძრავი ქონება 03/02/2010 წელს გაასხვისა.

ორგანიზაციამ წერილობით მიმართა⁴³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს და 2003–2012 წლების მმართველობის პერიოდში მოქალაქეებისთვის უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონების მიმართ სახელმწიფოს ახალი ხელისუფლების პოზიციით დაინტერესდა:

- 1. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რა პოზიცია გააჩნია 2003–2012 წლების მმართველობის პერიოდში იმ დაზარალებული მოქალაქეების მიმართ, რომელთაც უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩამოერთვა ქონება?
- 2. 2012 წლის 1 ოქტომზრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არის თუ არა რეგისტრირებული იმ მოქალაქეთა მიმართვა/განცხადება, რომლებიც მოითხოვენ 2003–2012 წლების მმართველობის პერიოდში უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ასეთი მიმართვიანობის სტატისტიკა 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 10 ივნისის მდგომარეობით?
- 3. 2014 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებით, არსებობს თუ არა შემთხვევა, როდესაც 2003–2012 წლების მმართველობის პერიოდში დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდათ უკანონოდ და დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ქონება. აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2014 წლის 20 ივნისის #08/3771 წერილის თანახმად, "საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დანერგილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა არ იძლევა ზემოაღნიშნული განცხადების მე–2 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის ზუსტი სტატისტიკის შესაძლებლობას, თუმცა საქმისწარმოების სამმართველოს მიერ განხორციელდა მოქალაქეთა განცხადებების თემატური

 $<sup>^{43}</sup>$  ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 10 ივნისის მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს.

მიება/დათვალიერება, რის სფაუძველზეც, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 10 ივნისამდე პერიოდში, პროგრამაში დაფიქსირდა მოთხოვნილი შინაარსის მქონე 60 მოქალაქის განცხადება".

ორგანიზაციამ 2013 წლის 9 ივნისს წერილით მიმართა<sup>45</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში იმ მოსამართლეების საქმიანობით დაინტერესდნენ, რომლებმაც 2004 წელს როლანდ ბლადაძის უმრავი ქონების ჩამორთმევის გადაწყვეტილება მიიღეს.

- 1. საერთო სასამართლოების სისტემაში, 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ახორციელებს თუ არა სამოსამართლო უფლებამოსილებას შემდეგი მოსამართლეები: დავით ანანიძე, რეზო ბერიძე და ილია ქამადაძე. ცნობისთვის: აღნიშნული მოსამართლეები, 2004 წლის მდგომარეობით, საქმიანობდნენ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში.
- 2. თუკი საერთო სასამართლოების სისტემაში, 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს დავით ანანიძე, რეზო ბერიძე და ილია ქამადაძე, მიგვითითეთ, სასამართლოს რომელ ტერიტორიულ ორგანოში ახორციელებენ ისინი უფლებამოსილებას?
- 3. თუკი საერთო სასამართლოების სისტემაში, 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, სამოსამართლო უფლებამოსილებას არ ახორციელებს დავით ანანიძე, რეზო ბერიძე და ილია ქამადაძე, მიგვითითეთ, რა პერიოდიდან აღარ ახორციელებენ ისინი მოსამართლეობას და რა საფუძვლით?
- 4. 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, დავით ანანიძე, რეზო ბერიძე და ილია ქამადაძე ირიცხებიან თუ არა რეზერვის მოსამართლეებად?
- 5. დავით ანანიძეს, რეზო ბერიძესა და ილია ქამადაძეს, ჰქონდათ თუ არა განაცხადი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობების დაკავების მიზნით და რა პერიოდში?

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საზჭოს 2014 წლის 19 ივნისის #684/879 წერილის თანახმად, "2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ჯემალ კიკნაძე, დავით ანანიძე, რევაზ ბერიძე და ილია ქამადაძე არ ახორციელებენ მოსამართლის უფლებამოსილებას. მოსამართლის თანამდებობიდან პირადი სურვილის საფუძველზე გათავისუფლდნენ ილია ქამადაძე 2007 წლის 22 თებერვალს, დავით ანანიძე 2008 წლის 16 აპრილს, ჯემალ კიკნაძე 2010 წლის 2 აგვისტოს. რაც შეეხება რევაზ ბერიძეს, იგი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2005 წლის 22 სექტემბერს, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო. ამასთან, დავით ანანიძეს, რეზო ბერიძესა და ილია ქამადაძეს განაცხადი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობების დაკავების მიზნით, 2007 წლიდან დღემდე არ წარმოუდგენიათ".46

ორგანიზაციამ 2014 წლის 6 ივნისს წერილით მიმართა<sup>47</sup> საქართველოს მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს და პროკურატურის სისტემაში 2004 წელს აჭარის ა/რ პროკურორის გიორგი პაპუაშვილის საქმიანობით დაინტერესდა, რომელმაც როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და უმრავი ქონების ჩამოართვა მოახდინა.

 $^{47}$  ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 6 ივნისის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

 $<sup>^{44}</sup>$  საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარეზის სამინისტროს 2014 წლის 20 ივნისის #08/3771 წერილი.

<sup>&</sup>lt;sup>45</sup> ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 9 ივნისის მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

 $<sup>^{46}</sup>$  საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საზ $\S$ ოს 2014 წლის 19 ივნისის #684/879 წერილი.

- 1. 2014 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა პროკურორის/გამომმიებლის უფლებამოსილებით გიორგი პაპუაშვილი.
- 2. 2014 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა ზემოთაღნიშნული პიროვნება გიორგი პაპუაშვილი. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ მისი დღევანდელი სტატუსი და საქმიანობის ადგილი.
- 3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუკი 2014 წლის 6 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, აღარ საქმიანობს ბ–ნი გიორგი პაპუაშვილი, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რომელი პერიოდიდან აღარ საქმიანობს გიორგი პაპუაშვილი

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 16 ივნისის #13/37909 წერილის თანახმად, მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, "დღეის მდგომარეობით, გივი პაპუაშვილი მცხეთა–მთიანეთის ქართლისა მუშაობს შიდა და საოლქო პროკურატურის თანამდებობაზე"<sup>48</sup> ორგანიზაციამ, გიორგი პაპუაშვილის პროკურატურის ორგანოებში მუშაობის, მათ შორის შიდა ქართლისა და მცხეთა–მთიანეთის საოლქო პროკურატურის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის ნამდვილობის შესახებ, საქართველოს მთავარ პროკურატურას, განმეორებით 2014 წლის 29 აგვისტოსაც მიმართა, ვინაიდან გავრცელდა ინფორმაცია გიორგი პაპიაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სარწმუნო აღმოჩნდა. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 5 სექტემბრის წერილის თანახმად, "დღეის მდგომარეობით გიორგი პაპუაშვილი საქართველოს პროკურატურაში არ მუშაობს. იგი 2014 წლის 1 აგვისტოდან გათავისუფლდა შიდა ქართლისა და მცხეთა–მთიანეთის საოლქო პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან".49

ორგანიზაციამ 2014 წლის 9 ივნისს, საქართველოს მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს, ორი წერილით, განმეორებით მიმართა $^{50}$  და როლანდ ბლადაძის საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები პროკურორების/გამოძიებლების სისტემაში ამჟამინდელი საქმიანობით დაინტერესდა

- 1. 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა პროკურორის/გამომძიებლის უფლებამოსილებით შოთა ბოლქვაძე.
- 2. 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა ზემოთაღნიშნული პიროვნება შოთა ზოლქვაძე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ მისი დღევანდელი სტატუსი და საქმიანობის ადგილი.
- 3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუკი 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, აღარ საქმიანობს ბ–ნი შოთა ბოლქვაძე, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რომელი პერიოდიდან აღარ საქმიანობს შოთა ბოლქვაძე.
- 4. 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა პროკურორის/გამომძიებლის უფლებამოსილებით ვალერიან ცერცვაძე, ვლადიმერ ხუჭუა და გიორგი ხიზანიშვილი.
- 5. 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, საქმიანობს თუ არა ზემოთაღნიშნული პიროვნებები. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ მათი დღევანდელი სტატუსი და საქმიანობის ადგილი.

 $<sup>^{48}</sup>$  საქართველოს მთავარი პროკურატურის  $2014\,$ წლის  $16\,$ ივნისის  $\#13/37909\,$ წერილი.

 $<sup>^{49}</sup>$  საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 5 სექტემბრის #13/55645 წერილი.

⁵⁰ ა/ო "ახალგაზრდა ადვოკატების" 2014 წლის 9 ივნისის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

6. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუკი 2014 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სისტემაში, თუ აღარ საქმიანობს ვალერიან ცერცვაძე, ვლადიმერ ხუჭუა და გიორგი ხიზანიშვილი. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რომელი პერიოდიდან აღარ საქმიანობენ ისინი.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 16 ივნისის #13/37910 და #13/37911 წერილობითი გამოხმაურების თანახმად, "დღეის მდგომარეობით, შოთა ბოლქვაძე საქართველოს პროკურატურაში არ მუშაობს. იგი 2010 წლის 8 ივლისს დათხოვნილ იქნა აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის თანამდებობიდან"<sup>51</sup>. აგრეთვე, საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, "დღეის მდგომარეობით, ვალერი ცერცვაძე, ვლადიმერ ხუჭუა და გიორგი ხიზანიშვილი საქართველოს პროკურატურაში არ მუშაობენ. კერძოდ: ვალერი ცერცვაძე 2005 წლის 23 თებერვალს გათავისუფლდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. გიორგი ხიზანიშვილი 2006 წლის 6 ოქტომბრიდან გათავისუფლდა საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (პირველი კატეგორია) თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან, ხოლო ვლადიმერ ხუჭუა, 2011 წლის 23 მაისს, დათხოვნილ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, ხოლო ვლადიმერ ხუჭუა, 2011 წლის 23 მაისს, დათხოვნილ იქნა საქართველოს სამართკურიტურიდან, ხოლო ვლადიმერ ხუჭუა, 2010 წლის მიადგილის (პირველი კატეგორია) თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან, ხოლო ვლადიმერ სამანისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის (პირველი კატეგორია) თანამდებობიდან".<sup>52</sup>

-

 $<sup>^{51}</sup>$ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 16 ივნისის #13/37910 წერილი.

 $<sup>^{52}</sup>$  საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 16 ივნისის #13/37911 წერილი.

### 4. დასკვნა

როლანდ ზლადაძის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლამ მკაფიო გახადა პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა სამართალზე, რომელიც 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდისთვის დამახასიათებელი, სისტემური დანაშაულის ნიშნებს ატარებს. სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლო სისტემა და ადმინისტრაციული ორგანოები, როლანდ ბლადაძის მიმართ შერჩევითი სამართლის პრინციპით მოქმედებდნენ, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო აჭარის ყოფილი მეთაურის, ასლან აბაშიძის გარემოცვის წარმომადგენელთა გასამართლებისა და სამართლებრივი დევნის საკითხი.

როლანდ ზლადაძის მიმართ განხორციელებული ცალკეული სამართლებრივი მოქმედებები ტოვებს ღია დასკვნების საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით პიროვნების დევნას, მისი სამოქალაქო უფლებების უხეშ დარღვევას, რაც საბოლოო ჯამში, დასრულდა როლანდ ბლადაძის იძულებით, დაეტოვებინა საქართველო და მიეღო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. საქმეზე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ განხორციელებულმა ობიექტურმა გამოძიებამ და მოკვლევამ ცხადყო, რომ როლანდ ბლადაძის მიმართ, 2004 წლის აგვისტოში, სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ბრალდებით, აღძრული სისხლის სამართლის საქმე, იმთავითვე უსაფუძვლო და ხელოვნურად შექმნილი მტკიცებულებებით იყო შედგენილი.

როლანდ ბლადაძის საქმის საფუძვლიანმა შესწავლამ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, სადავოდ მიჩნეულ საკითხებთან დაკავშირებით, მკაფიო გახდა ის გარემოებები, რომლის იგნორირებამაც, დაარღვია მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლება - სამართლიანი სასამართლოს უფლება, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტებმა მოქალაქის დაცვის და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ნაცვლად, შექმნეს ყველანაირი პირობა, რათა საქმეზე კანონის უზენაესობა პოლიტიკის ავტორთა სუბიექტური გადაწყვეტილებებით შეცვლილიყო.

2004 წელს, როლანდ ბლადაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა საკმარისი მტკიცებულებების გარეშე დაიწყო, რაც დადასტურდა კიდეც 2013 წლის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილებით, თუმცა აჭარის ყოფილი საჯარო მოხელის ბრალდების სახით მიცემას, დღევანდელი შეფასებით, გააჩნდა შემდგომი მოქმედებების განხორციელების მიზანი - პოლიტიკური გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, რომლის მიხედვითაც, როლანდ ბლადაძის ქონება გამოცხადდა დაუსაბუთებლად და უკანონოდ, დაიწყო მისი ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცესი.

საქმეში არსებულმა რეალურმა მტკიცებულებებმა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ ჩატარებულმა ხელახალმა მოკლევამ და ორგანიზაციის მიერ შესწავლილმა მასალებმა ცხადყოფს, რომ როლანდ ბლადაძეს, სახელმწიფომ უკანონოდ ჩამოართვა ქონება, ხოლო ქონებას, რომელსაც პროკურატურამ დაუსაბუთებელი უწოდა და სახელმწიფოსთვის გადაცემის მოთხოვნით გამოვიდა, პირველი - როლანდ ბლადაძეს საერთოდ არ ეკუთვნოდა და მეორე - ის, რაც ეკუთვნოდა, როლანდ ბლადაძის მიერ შემენილ იქნა თანამდებობაზე დანიშვნის პერიოდამდე, 2001 წლამდე.

აღნიშნული გარემოება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, 2004 წელს, არ გაუთვალისწინებია. სასამართლომ მხოლოდ ის მოახერხა, რომ როლანდ ბლადაძეს მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში არსებული საცხოვრებელი სახლი შეუნარჩუნა, რომელიც დაუსაბუთებელი და უკანონო იმ მარტივი მოტივით ვერ იქნებოდა, რომ წარმოადგენდა მამა-პაპისეულ დანატოვარ ქონებას. სასამართლომ როლანდ ბლადაძის სხვა ქონების (სახლი ქ. ბათუმში, ერას ქ.N37, სახლი ქ.ბათუმში, ნ.დუმბაძის ქუჩაზე, ავტომანქანა მერსედეს-ბენც WMW 009 და ავტომანქანა გაზ-31-10) ჩამორთმევის დროს იხელმძღვანელა მხოლოდ პროკურორის გონივრული ეჭვის საფუძველზე და განმარტა, რომ საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი ქონების შეძენისათვის

საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები ან ამ სახსრების კანონიერი გზით მოპოვებისათვის საჭირო გადასახადების გადახდის დოკუმენტები. თითქოსდა, როლანდ ბლადაძეს არ შეეძლო საკუთარი ხელფასით და კანონიერი გზით ამ ქონების შეძენა, მაშინ, როდესაც მტკიცებულებები სხვა გარემოებებზე მიუთითებდნენ.

კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 22 დეკემბრის #2848 წერილის თანახმად, ბათუმში, ერას ქუჩა #37-ში მდებარე როლანდ ბლადაძის კუთვნილი უძრავი ქონება, 1998 წლის 14 მარტის #1-33 ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების თანახმად, ირიცხებოდა სოსო ბოლქვაძის საკუთრებაში, ხოლო 2000 წლის 15 მარტის #1-27 ნასყიდობის ხელშეკრულებით, ბინა გაფორმდა როლანდ ბლადაძეზე. 3 აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე როლანდ ბლადაძის საკუთრებაში გადავიდა სამოთახიანი ბინა, 54,7 კვ.მ საერთო ფართით, 42,11 კვ.მ საცხოვრებელი, ხოლო 12,59 კვ.მ დამხმარე ნაგებობით, თუმცა სახელმწიფომ როლანდ ბლადაძის ქონება დაუსაბუთებლად სცნო და რელური მესაკუთრის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. აჭარის ა/რ პროკურატურამ 2004 წლის სარჩელით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართ დააყენა საკითხი როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის, ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ და საკუთარი მოთხოვნა დაასაბუთა იმით, რომ როლანდ ბლადაძის, როგორც ადმინისტრაციული თანამდებობის პირის შემოსავალი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა ზემოთაღნიშნული უმრავი ქონების მოპოვებას.

იმავდროულად, პროკურატურის დასაბუთებაში ვკითხულობთ, რომ როლანდ ბლადამე 2001 წლიდან 2004 წლის აპრილამდე მუშაობდა სარფის გამშვები საგუშაგოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ხელფასის სახით, მიღებული ჰქონდა 12579,39 ლარი. სინამდვილეში, როლანდ ბლადამე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წლის 14 მაისს, თუმცა გათავისუფლების ბრძანებაც, კანონმდბელობის ნორმების დარღვევითაა გამოცემული, ვიანიდან ბრძანებაში აღნიშნულია, რომ როლანდ ბლადამე თანამდებობიდან გათავისუფლებულია 2004 წლის 15 მაისიდან სამსახურში უცნობი მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, საბაჟო სამმართველოს უფროსის ბრძანების საფუძველზე.<sup>54</sup>

შესაბამისად, როლანდ ბლადაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, ერას ქუჩა #37-ში დაუსაბუთებელი და უკანონო გზით შეძენილი ვერ იქნებოდა, ვინაიდან უძრავი ქონება შეძენილ და კანონიერი ფორმით რეგისტრირებულ იქნა 2000 წლის მარტში, როლანდ ბლადაძის აჭარის ა/რ საბაჟო პუნქტ "სარფის" უფროსის მოადგილის ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებამდე. ამასთან, გათვალისწინების გარეშე დარჩა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს 2005 წლის 7 ივლისის წერილობითი მტკიცებულებაც, რომლის მიხედვითაც, როლანდ ბლადაძის სახელზე, ავტომობილი არ ირიცხებოდა<sup>55</sup>, ხოლო ყველა სხვა ე.წ. ჩამორთმეული ქონება, როლანდ ბლადაძის საკუთრებაში, არც არასოდეს არსებულა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოში პროკურატურის სარჩელი განიხილეს, როგორც როლანდ ბლადაძის, ასევე მისი კანონიერი ინტერესების წარმომადგენელთა დასწრების გარეშე, რადგანაც არ მომხდარა სხდომის ჩატარების შესახებ შესაბამისი შეტყობინების უზრუნველყოფა, არც როლანდ ბლადაძის და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ. მეტიც, როლანდ ბლადაძეს, როგორც თანამდებობის პირს, საგამოძიებო ორგანოების მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნით, მაშინ არც დამცველი დანიშვნია, რაც მსგავსი კატეგორიის საქმეებში აუცილებელი და სავალდებულოა.

 $<sup>^{53}</sup>$  ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 22 დეკემბრის #2848 წერილი.

 $<sup>^{54}</sup>$  2004 წლის  $^{14}$  მაისის საზაჟო სამმართველოს უფროსის ფ. სურმანიძის ზრძანეზა  $^{#12}$  როლანდ ზლადაძის თანამდეზოზიდან გათავისუფლეზის შესახეზ.

 $<sup>^{55}</sup>$  საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ა $\sharp$ არის სამმართველოს 2005 წლის 7 ივლისის წერილი #20/7-1098.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლო შეტყობინების ჩაბარების საკითხმა გადაწყვიტა როლანდ ბლადაძის საჩივრის განხილვის დაწყების საკითხიც, როდესაც 2005 წელს, მხარემ გაასაჩივრა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება როლანდ ბლადაძის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საჩივარს განუხილველად ტოვებდა, რადგანაც მისი გასაჩივრების კანონიერი ვადა დარღვეულ იყო. ირკვევა, რომ როლანდ ბლადამეს სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება გაეგზავნა 2004 წლის 8 ოქტომბერს, გზავნილის მეორე გვერდზე კი აღნიშნულია, რომ კურიერის მიერ გზავნილზე მითითებულ მისამართზე, ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა და მეზობლის განმარტებით, ადრესატი - როლანდ ბლადამე იმყოფებოდა ქალაქგარეთ, რის შემდეგაც, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, 2004 წლის 11 ოქტომბერს ჩაბარდა ქ. ბათუმის თვითმმართველ ორგანოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო გამგეობისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება სასამართლოს მხრიდან დაუსაბუთებელი დამოკიდებულება. ჩდება კითხვები, თუ რამდენად სამართლიანად მიიჩნია სასამართლომ ადრესატისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ, გამგეობისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება.

2004 წელს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ უწყების მიმტანმა პირმა, სასამართლოში გამოსამახებელი მოქალაქე ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე — იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს, ან/და სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი. აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას. ეს ცნობები დადასტურებულ და დამოწმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ან ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, უწყების ჩაბარებისას გამოიკვეთა უკანონო ქმედება, რამდენადაც, უწყება არ ჩაბარებია არცერთ პირს, რომელიც გათვალისწინებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით, არამედ უწყება ჩაბარდა გამგეობას, რაც უკანონოა, ვინაიდან აღნიშნული მუხლის მიხედვით, გამგეობა კი არ იბარებს უწყებას, არამედ მხოლოდ ადასტურებს და ამოწმებს, თუ რომელმა პირმა ჩაიბარა უწყება, ანუ იმავე სახლში მცხოვრებმა სახლის მფლობელმა თუ დამქირავებელმა. შესაბამისად, უწყების ჩაბარება კანონის შეუსაბამოდ მოხდა და სასამართლოს პოზიცია, რომ უწყების ჩაბარების ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო გამგეობისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღიდან, უკანონოა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის მიღებული განჩინებაც, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ, დაუსაბუთებელი და ცალსახად უკანონოა.

როლანდ ბლადაძის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე საერთო სასამართლოების ცალკეული გადაწყვეტილებები და მოქმედებები, იმთავითვე იწვევს უნდობლობას და ტოვებს შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების შეხედულებას.

მართლმსაჯულების ამოცანა დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური დაცვა არ ყოფილა, არამედ პროცესის გაჭიანურება, ჩამორთმეული ქონების მიმართ ყველა მოთხოვნის

პოლიტიკური ნების შესაბამისი დასაბუთება და საქმეში არსებული რეალური მტკიცებულებების უგულვებელყოფა. სასამართლოებმა ყურადღება არ დაუთმეს საქმის მიზეზ-შედეგობრივ გარემოებებს, რომელიც როლანდ ბლადაძის სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო/ადმინისტრაციული დავის მიმდინარეობის პროცესში, ერთი მხრივ წარმოაჩენდა მის უდანაშაულობას, მეორე მხრივ კი უძრავი ქონების კანონიერ მფლობელობასა და როლანდ ბლადაძის მესაკუთრეობას ადასტურებდა. სწორედ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულებით, მიიღო არაორდინალური გადაწყვეტილება და როლანდ ბლადაძეს, მათ შორის, 2004 წლამდე, აჭარის ყოფილი მთავრობის მეთაურთან დაახლოებულ სხვა პირებს ჩამოართვა ქონება, მათი საკუთრებები გამოცხდდა უკანონოდ და დაუსაბუთებლად, ხოლო მოგვიანებით, სიმბოლურ ფასად, გადაეცათ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს. 2014 წლის მდგომარეობით, როლანდ ბლადაძის საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ბათუმი, ერას ქუჩა #37, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი ცხოვრობს.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა, მათთვის გადაცემული, 2004 წლამდე, აჭარის ყოფილი მთავრობის მეთაურთან დაახლოებული პირების ჩამორთმეული ქონება გაასხვისეს. ერთადერთი, რომელიც დღემდე ჩამორთმეულ ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს, ხოლო იმავდროულად თავს არიდებს საკითხზე საჯარო დისკუსიას, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილია. კვლევის პროცესში, გიორგი პაპუაშვილმა უპასუხოდ დატოვა კითხვები, რომელიც ორგანიზაციამ 2014 წლის 3 ივნისს გაუგზავნა. გიორგი პაპუაშვილის საკითხთან დაკავშირებული საჯარო პოზიცია ცნობილია, თუმცა უმრავი ქონების სახელმწიფოსგან მიღების კანონიერების ფაქტის მოშველიება, ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც როლანდ ბლადაძის საქმეში არსებობს. განსაკუთრებით, ახალ გარემოში, როდესაც როლანდ ბლადაძის უდანაშაულობა დადასტურებულია.

2013 წლის 12 აპრილის აჭარის ა/რ პროკურატურის დადგენილება მთლიანად ცვლის მანამდე არსებულ ყველა გარემოებას და შესაბამისად, დგება 2004 წლის 10 სექტემბრის აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა საგადასახადო საქმეთა და გადაწყვეტილების კანონიერების საკითხიც. კერძოდ, წარმოადგენდა თუ არა კანონდარღვევების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება როლანდ ბლადაძის საკუთრების უფლების დაკარგვის ამასთან, მთავარი შეკითხვა, რომელიც არსებულმა ახლადგამოვლენილმა ახლადაღმოჩენილმა გარემოებებმა მოიტანა, უკავშირდება სამართლებრივ ურთიერთობებში გიორგი პაპუაშვილის კეთილსინდისიერების საკითხს. ფაქტია, გიორგი პაპუაშვილმა როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონება სახელმწიფოსგან იმ ვითარებაში მიიღო, როდესაც საქმეზე სასამართლოებში მიმდინარეობდა არაერთი დავა და როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველები მოითხოვდნენ უძრავი ქონებიდან, მდებარე ქ. ბათუმი, ერას ქუჩა #37 გამოსახლების შეჩერებას, ასაბუთებდნენ როლანდ ბლადაძის მიერ ქონების შეძენის კანონიერ საშუალებებს და სახელმწიფო პრეზიდენტის, პარლამენტის, სასამართლოს ინსტიტუტების სახით, ოჯახის ინფორმირებული იყო სადაოდ გამხდარი ქონების შესახებ, თუმცა 2007 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ, ყურადღების მიღმა დატოვა მოქალაქისთვის ჩამორთმეული ქონების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, საცხოვრებლად როლანდ ბლადაძის სახლში გადასულიყო. თუნდაც ის ფაქტიც, რომ გიორგი პაპუაშვილმა როლანდ ბლდაძის უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - 1000 ლარად შეიძინა სახელმწიფოსგან, კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს შემბენის კეთილსინდისიერების საკითხს. აღნიშნული თანხა შეუსაბამოა იმ უბრავი ნივთისთვის, რომელსაც გიორგი პაპუაშვილი 2007 წელს დაესაკუთრა.

კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი

ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. მართალია, აღნიშნული მუხლი, ზოგადი დებულების სახით არის დეკლარირებული, მაგრამ ის შესაძლებლობას ანიჭებს სასამართლოს, ყოველი კონკრეტული შემთხვევა შეაფასოს მორალური ღირებულებების საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ყველაზე მაღალი მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა მართებდა, როდესაც როლანდ ბლადაძის უძრავი ქონების მიღებაზე სამართლებრივ პროცედურებს იწყებდა.

ორგანიზაციამ კვლევის პროცესში ყურადღება დაუთმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიერ 2010 წლის მარტში განხორციელებულ ქმედებასაც, რომლის მიხედვითაც, საკუთრების უფლება წარმოეშვა როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხზე, რომლის გასხვისებაც, არც 2007 წლის სახელმწიფოსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და არც სხვა იურიდიული დოკუმენტაციით, დადასტურებული არ იყო. საქმეში არსებული მასალებით მტკიცდება, რომ 2009 წლის 18 დეკემბერს გაიმართა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრება, რომელმაც დღის წესრიგით განიხილა ერთადერთი საკითხი - გიორგი პაპუაშვილისთვის დამხარე ნაგებობების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.<sup>56</sup> საერთო კრების გადაწყვეტილებით, მომზადდა მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რათა გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში აღრიცხულიყო ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა #37-ში მდებარე დამხმარე ნაგებობა - სამეურნეო სათავსო და გარაჟი, 35,63 კვ.მ ოდენობით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ იყო უფლებამოსილი, განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება გიორგი პაპუაშვილისთვის ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. მეტიც, ავტოფარეხი არ წარმოადგენდა საერთო საკუთრებას. 2000 წლის 11 სექტემბრის ქ. ბათუმის მერიის ტექნიკური კომისიის ოქმის გადაწყვეტილებით, ავტოფარეხი გატარდა როლანდ ბლადამის მფლობელობაში.57 შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტით, მხოლოდ როლანდ ბლადაძე ითვლებოდა მის მართლზომიერ მფლობელად.58 ამიტომაც, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა უფლებამოსილი არ იყო, განეხილა ავტოფარეხის გიორგი პაპუაშვილისთვის მიკუთვნების საკითხი, თუმცა დოკუმენტებით ჩანს, რომ აღნიშნული მოქმედებებით, სახელმწიფომ როლანდ ბლადაძის მიმართ, მორიგი უკანონო მოქმედება განახორციელა.

ის, რაც როლანდ ბლადაძეს სასამართლო გადაწყვეტილებით არ ჩამორთმევია, 2010 წელს გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ განახორციელა. მოგვიანებით, 2012 წლის შემოდგომაზე, ბათუმის მერიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ავტოფარეხის დემონტაჟი მოხდა, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 3 ივნისის ინფორმაციით კი, გიორგი პაპუაშვილის მიმართ, დემონტირეზული ავტოფარეხის სანაცვლოდ, გაცემულ იქნა კომპენსაცია 3565 ლარის ოდენობით.⁵9 აღსანიშნავია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება კიდევ ერთხელ 2010 წლის მარტშიც შეიკრიბა, რომელმაც დააკმაყოფილა გიორგი პაპუაშვილის კიდევ ერთი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის საკუთრებაში გადავიდა როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონებიდან სადარბაზოს ფართი 13.0 კვ.მ და მანსარდაზე მიშენებული 59.31 კვ. $3.6^{60}$  აღნიშნული კრების მიხედვით, გიორგი პაპუაშვილის საკუთრებაში არსებულმა საერთო ფართმა შეადგინა 277.91 კვ.მ, ხოლო უმრავი ქონების გადაცემის გადაწყვეტილებების კანონიერ საფუძვლებში აღინიშნა, რომ გიორგი პაპუაშვილი დასაკუთრებულ ქონებებს იმთავითვე ფლობდა და სარგებლობდა შეძენის მომენტიდან.

.

 $<sup>^{56}</sup>$  2009 წლის 18 დეკემბრის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "გაზაფხულის" საერთო კრების ოქმი #1

 $<sup>^{57}</sup>$  2000 წლის 11 სექტემბრის ქ. ბათუმის მერიის ტექკომისიის გადაწყვეტილების ოქმი #7

<sup>&</sup>lt;sup>58</sup> 2000 წლის 25 სექტემბრის ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველო, ქალაქის მთავარი არქიტექტორ ვ. გოგავას წერილი ქ. ბათუმის მერიის ტექინვენტარიზაციის სამსახურის მიმართ.

 $<sup>^{59}</sup>$  2013 წლის 3 ივნისის ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წერილი #04-04/13954  $^{60}$  2010 წლის 2 მარტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "გაზაფხულის" საერთო კრების ოქმი #9

როლანდ ბლადაძემ საქართველოს საერთო სასამართლოებისადმი, კანონით გათვალისწინებული ყველა მიმართვის ეტაპი უკვე ამოწურა, თუმცა მართლმსაჯულებამ ვერ უზრუნველყო ერთი მოქალაქის კანონიერი უფლებების დაცვა და პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება. მას შემდეგ, რაც როლანდ ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა და მისი უდანაშაულობა დადასტურდა, მართალია, დღის წესრიგში დადგა ბათუმში, ერას ქუჩა #37-ში მდებარე უძრავი ქონების დაბრუნებისთვის სამართლებრივი დავის გაგრძელების საკითხი, თუმცა უკვე მოცემულ შემთხვევაში, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ ხელს აიღებდა სასამართლო სისტემის მიმართ პოლიტიკური ზეწოლისაგან, სამართლიანად უნდა შეფასდეს სასამართლოს დამოკიდებულება როლანდ ბლადაძის საქმეზე. სასამართლომ როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნას, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის N285 განკარგულება, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 14 ივლისის N1-1/906 ბრძანება, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის N1-1/1072 ბრძანება, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცემული N352-პ საკუთრების მოწმობა და ზიანის ანაზღაურება დადმდგარიყო უძრავი ქონების პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სახით, დასაბუთებულად უთხრა უარი, ვინაიდან სასამართლო ვერ გაცდებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე, 423-ე და 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც, მოთხოვნილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, მოცემულ შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებების მიღებიდან უკვე გასულია 8 წელზე მეტი.

მიუხედავად ამისა, ამჟამად როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნას საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს, რომელსაც მხარემ 2014 წლის ივნისში მიმართა, თუმცა უნდა ვივარაუდოდთ, რომ საკასაციო სასამართლო უცვლელად დატოვებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასაბუთებას, მაგრამ საქმეზე საკასაციო გადაწყვეტილებას ექნება სამართლებრივი დავის გაგრძელების შესაძლებლობა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სასამართლოში (სტრაზბურგი). ამასთან, დამატებითი სტრატეგია და სამართლებრივი ძალისხმევა, ეროვნულ დონეზე, გააჩენს შესაძლებლობას, საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაიწყოს მუშაობა 2004-2012 წლებში, მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისთვის, რომლის საჭიროებასაც, ჩვენი აზრით, თუნდაც აღნიშნული ერთი საქმე - როლანდ ბლადაძის ისტორია იძლევა.

ორგანიზაციის ქართულ საკანონმდებლო ახლადაღმოჩენილი შეფასებით, სივრცეში, და ახლადგამოვლენილი გარემოებების შედეგად სასამართლო დავების განახლების თუ გადაწყვეტილებების შეცვლის საკითხი, ერთ-ერთი პრობლემურია, რაც განპირობებულია შემჭიდროვებულ ვადებთან, როდესაც საქმისწარმოების განახლების შესახებ განაცხადის შეტანა დაუშვებელია, თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 5 წელი. აღნიშნული ნორმა შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუვიო სასამართლოში, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და 2013 წლის 5 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება #3/1/531 შემდეგ საქმეზე: "ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", ლეგიტიმურ საფუძვლებს იძლევა. კერძოდ, აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის შემოწმება საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ისრაელის მოქალაქეების კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42–ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 426–ე მუხლის მე–4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422–ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმპლემენტაცია უზრუნველყო, პრაქტიკულ და სამართლებრივ სივრცეში, კვლავ პრობლემურ საკითხად დარჩა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422–ე მუხლის (განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ) "ბ" ქვეპუნქტის ჩანაწერიც, რომლის თანახმადაც, "კანონიერ ბალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, აღნიშნული ჩანაწერი იდენტური დებულებაა, რასაც წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2013 წელს გაუქმებული ნორმა – კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, თუმცა დღემდე უცნობია, მუშაობს თუ არა საქართველოს პარლამენტი, რათა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტიული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, დაუბრუნდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422–ე, 423–ე და 426–ე მუხლ(ებ)ის საფუძვლიან დაზუსტებას და ახლადგამოვლენილ გადახედოს ახლადაღმოჩენილ და გარემოებათა გამო, სასამართლოსთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადები. ორგანიზაციამ საკითხის დაზუსტების მიზნით, უკვე 2014 წლის 23 ივნისს წერილით მიმართა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, თუმცა პარლამენტის აღნიშნულ კომიტეტს, 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, წერილზე გამოხმაურება არ მოუმზადებია.

ორგანიზაცია იზიარებს შეხედულებას, რომლის თანახმადაც, "გონივრული იქნებოდა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, საქმის წარმოების განახლების ვადა ყოფილიყო 10 წელი. მისი მითითებით, შექმნილ სიტუაციაში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა მოსარჩელეთა უფლების დაცვის ერთადერთი ეფექტური სამართლებრივი საშუალებაა". აღნიშნული მსჯელობა კიდევ უფრო მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენს ჩვენს დღევანდელობაში, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლმანეტო არჩევნების შემდგომ, საქართველოში შეიცვალა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, მიმდინარეობს სასამართლო სისტემის რეფორმა და საქართველოს პროკურატურას მიმართა არაერთმა მოქალაქემ, 2004–2012 წლებში, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან უკანონოდ ჩამორთმეული, მიტაცებული და იძულებით დათმობილი უძრავი ქონებების დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა იმის გამო, რომ ბევრ საქმესთან დაკავშირებით, სწორედ 2012 წლიდან ხდება ახლადაღმოჩენილი და ახლადგამოვლენილი გარემოებების დადასტურება, რომლებიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს, საერთო სასამართლოების პრაქტიკა ყალიბდება იმგვარად, რომ მოქალაქეებს, სწორედ ხანდაზმულობის 5–წლიანი ვადის საფუძვლით, საქმისწარმოების განახლებაზე უარი ეთქმევათ. როლანდ ბლადამის საქმეც მსგავსი შემთხვევების რიცხვს განეკუთვნება.

 $<sup>^{61}</sup>$  საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება #3/1/531 საქმეზე: "ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

# 5. სარეკომენდაციო წინადადებები

## საქართველოს პრეზიდენტის მიმართ

- 1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ ქმედებას ქონების დათმობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის გაჩენა, რომელიც მიმართული იქნება საქმეებზე სამართლიანი გადაწყვეტილებებებისკენ, ყოფილი და მოქმედი კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისკენ;
- 2. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა სადაოდ მიჩნეულ ქონებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, გამოაცხადოს მორატორიუმი, რითაც უკანონოდ შეძენილი ქონების მფლობელთა მხრიდან შეჩერდება მათი გასხვისების პროცესი;
- 3. მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური შეფასება მისცეს წინამორბედის მიერ 2007 წლის 6 ივნისის მიღებულ #285 განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, ძალაში შევიდა გადაწყვეტილება "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ" და აჭარის ყოფილი მთავრობის წევრებსა და აჭარის ყოფილ მეთაურთან დაახლოებულ პირებს ჩამოერთვათ საკუთრება.

## საქართველოს მთავრობის მიმართ

- 1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ დააჩქაროს სამართლებრივი მოქმედებები ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ სამართლიანი გადაწყვეტილებების დადგომისთვის. ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ გამოყენებული იქნეს "რეპრესიების მსხვერპლის" სტატუსი;
- 2. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ შექმნას სამართლებრივი სივრცე და 2004-2012 წლების მმართველობის პერიოდში, მოქალაქეები, რომლებსაც საკუთრება იძულებით და უკანონოთ დაათმობინეს, მიენიჭოთ დაზარაკებულის სტატუსი. მოხდეს აღნიშნული საქმეების სამართლებრივი კვალიფიკაცია;
- 3 მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააგრძელოს მოქმედებები მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის მიმართულებით, რომელიც გააჩენს სამართლებრივ მექანიზმს სამართლიანობის აღდგენის პროცესში, დაზრალებული მოქალაქეების ინტერესების განხორციელებისთვის და გადაჭრის უკანონო/დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებებით გამოწვეული უფლებადარღვევის ფაქტების არსებულ სინამდვილეს.

#### საქართველოს პარლამენტის მიმართ

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა აღმოფხვრას საკანონმდებლო ხარვეზი, მიიღოს პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის პრეცედენტული გადაწყვეტილების საფუძველზე, განახორციელოს შესაბამისი ახლადაღმოჩენილი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში და ახლადგამოვლენილი შემთხვევაში, სასამართლოებში საქმის განხილვის გარემოებების არსებობის დასაშვებობის ხანდაზმულობის ვადის გაზრდასთან დაკავშირებით;

2. მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა მოახდინოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422–ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის პრეცედენტული გადაწყვეტილებასთან და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რითაც უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და კანონმდებლობის ჰარმონიზაციას.

## საქართველოს საერთო სასამართლოების მიმართ

- 1 მნიშვნელოვანია, საქართველოს საერთო სასამართლოებმა გაითვალისწინონ ქონებაჩამორთმეულთა კანონიერი ინტერესები, საქმესთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრივი გარემოებები, შეცვალონ სტრატეგია და დააკმაყოფილონ დაზარალებულთა სასარჩელო მოთხოვნები ჩამორთმეული უძრავი საკუთრების მიმართ ყადაღის გამოყენების თაობაზე;
- 2 მნიშვნელოვანია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს 2013 წლის 5 ნოემბერს მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილების განვრცობაზე და საქართეველოს საკანონმდებლო ორგანოს მიმართოს რეკომენდაციით, ახლადაღმოჩენილი და ახლადგამოვლენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სასამართლოებში საქმის განხილვის დასაშვებობის ხანდაზმულობის ვადა გაიზარდოს 5 წელზე მეტი ვადით.

## საქართველოს მთავარი პოკურატურის მიმართ

- 1 მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ქონებაჩამორთმეულ მოქალაქეებთან იქონიოს ჯეროვანი კონტაქტი, რათა არსებობდეს სრული ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის, ეტაპების, შემაფერხებელი გარემოებებისა და დასრულების გონივრული ვადების თაობაზე;
- 2 მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების პროცესში საპროკურორო უფლებამოსილება განახორციელონ პირებმა, რომლებსაც წარსულში, ნებსით და უნებლიეთ, შემხებლობა არ გააჩნდანთ სისტემური დანაშაულებების პროცესთან.

#### ქონებაჩამორთმეული მოქალაქეების მიმართ

1 მნიშვნელოვანია, ქონებაჩამორთმეულმა მოქალაქეებმა აქტიურად ითანამშრომლოს საქართველოს პროკურატურასთან და საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მიმართონ საერთო სასამართლოებს, რათა დაყადაღდეს მათთვის წართმეული ქონება და გამოძიების დასრულებამდე, არ მოხდეს აღნიშნული ქონებების გასხვისება, გადამალვა ან გაფლანგვა.

#### 1. Introduction

After the parliamentary elections of October 2012 in Georgia, the change in political governance revealed to the society a number of facts of systemic crime. Among them, the most critical situation is one about the citizens who were deprived of property in 2004-2012 and whose rights to the fair trial were violated. The cases of large-scale abandonment of property by the citizens and transferring it as a gift to the state, as well as willful shift of the property, already being registered under the name of their owners, to the state became a sort of trend. The incidents of giving up the property rights by the relevant government bodies occurred in almost all regions of Georgia, although the government which came into power after the "Rose Revolution" of 2003, undertook the most large-scale property concession and infringement in adjure. After the "Rose Revolution" in 2004 when direct presidential governance was introduced in Adjara and former commander of Adjara - Aslan Abashidze's long-term governance came to end, political persecution of the former commander of Adjara and his related

political encirclement before the year of 2004, their criminal persecution, repressions of the region's top officials and property redistribution process was commenced.

The cases of confiscation in Adjara and illegal acts committed by the former officials over the governance period of 2004-2012 call for total examination. Until now there has never been relevant legal opinions prepared, as to how much damage was caused to the citizens, who undergone compulsion for political reasons, for their prominent civil position; although, it can be considered, that Roland Bladadze's case will be of enough substance, telling a complicated story of the property seizure on political grounds in the region. At the same time, it emphasizes the style and the form of governance that existed towards the people with different opinion. It presents system against the citizen, who was forced to leave Georgia and move to the Russian Federation with his family as a result of the government's unlawful actions to protect his personal security in this way.

Since 1990 Roland Bladadze has held administrative position in the Customs Security Service at various times and was in close connection with the encirclement of the former commander of Adjara - Aslan Abashidze. From 2001 until April 2004, he worked as a Deputy Head of the Sarpi Checkpoint, but his authority was terminated based on the Law of Georgia on the "Civil Service". As for the official reason for his dismissal, the Head of the Customs Office at that time noted that Roland Bladadze did not appear at work for unknown reasons which constituted to the gross violation of his duty; in fact, Roland Bladadze made his mind to leave Georgia secretly when Adjara A/R Prosecution Office commenced criminal prosecution against him and the court ruled that real estate in his possession was unlawful and unjustified. Roland Bladadze was among those who were deprived of property against their will. The law enforcement bodies, common courts system and administrative authorities happened to agree on the application of selective justice in order to undertake prominent prosecution and law enforcement against the officials related to the former commander of Adjara. The president transferred Roland Bladadze's confiscated property to the chairman of the Constitutional Court of Georgia - Giorgi Papuashvili who until now lives in the house of Roland Bladadze with his family, even though legal dispute is still going on with no avail. In June 2013, criminal prosecution against Roland Bladadze was ceased, which resulted in the creation of lawful basis to strengthen legal action and return back the property, but considering the newly discovered or newly revealed circumstances, current legislation deprives court to deem admissible the invalidity of the decisions concerning the property confiscation, as far as 5 year limitation period has lapsed after the legal appeal was filed against the binding court decision.

"Young Barristers" began comprehensive research on Roland Bladadze's case in February 2014. Due to the conducted monitoring, legal and factual circumstances of the case, decisions of the Prosecution office and Courts, actions of the certain administrative bodies, the status and attitude of the high-ranking officials inherently related to the case were examined. The organization focused on the legal opinion and recommendations on the Roland Bladadze's case for the executive and legislative governmental authorities of Georgia towards whom exists the legitimate expectation of making fair decisions for the property-deprived people. This research, prepared by the organization's legal group, will be disseminated within the representatives of the executive, legislative and judicial authorities of Georgia, Public Defender's office of Georgia, the diplomatic corps and international organizations. In addition, the English version will be delivered to the European Constitutional Courts, the Venice Commission, international central offices. For that matter, the organization will hold a discussion tables

in Tbilisi and Batumi together with the law specialists, will discuss the realization of the legal actions related to the dispute and implementation strategy.

